დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნინო ბეგლარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

თამთა დარსაველიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლელა ფანოზიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386768

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაური, სოფელი მახო
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Makho@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 97 37 00

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	762050; 26/06/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 30-31 ივლისი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო ერთი (ძირითადი) შენობა; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო (დავითაძეების დაწყებითი სკოლა) ერთი შენობა; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი მახო (სიმონეთის დაწყებითი სკოლა) ერთი შენობა; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო (ზანაქედის დაწყებითი სკოლა) ერთი შენობა;

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო ერთი შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 30-31 ივლისს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და სკოლის რესურსი ოთხივე ლოკაციაზე. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ ფორმატში გაესაუბრნენ პედაგოგებს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია. ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ხელმძღვანელობასა და სხვა თანამშრომლებთან.

დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ **შეესაბამება**

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-	სკოლამ უზრუნველყოს ყველა შენობის საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.** სკოლამ უზრუნველყოს ყველა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისაობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს კვალიფიციური კადრის დასაქმება ოთხი პედაგოგის იმ საათებზე, რომლებშიც აღნიშნული პირების კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და	სკოლამ შესაბამისაობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს სოფელ დავითაძეების ტერიტორიაზე არსებული ხევის ღობით იზოლირება და უსაფრთხოების დაცვის უზრუნვლეყოფა, **არაუგვიანეს 15.08.2027 წლისა.**

	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს შემოერთებული სკოლების შენობების ადაპტირება - საპირფარეშოების ადაპტირება და შენობაში შემოსასვლელი პანდუსის მოწყობა, ასევე, ძირითად შენობაში საპირფარეშოს ადაპტირება, **არაუგვიანეს 15.08.2027 წლისა.**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის, მუსიკის, სახვით და გამოყენებით ხელოვნების საათებზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების დასაქმება, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი რესურსით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს საბაზო საფეხურზე სპორტის საათებზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლის დასაქმება, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი რესურსით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე სპორტის საათებზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლის დასაქმება, **არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სასურველია, სკოლამ ინდიკატორებში მტკიცებულებების ენის ნაცვლად, გამოიყენოს გაზომვადი შედეგების ფორმულირების ენა. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მომდევნო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას პრიორიტეტული ამოცანების შერჩევა და შვიდწლიან ციკლზე მათი ისე გადანაწილება, რომ უფრო მეტად რეალისტური გახდეს მათი მაქსიმალური შედეგით შესრულება.
ინდიკატორი N1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება მონიტორინგის საგანი, ფორმა, მეთოდი, პერიოდი და ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ჯგუფს საშუალებას მისცემს კონკრეტული მექნიზმებით აწარმოოს პროცესი.
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაშიც და მონიტორინგისა და შეფასების გეგმაშიც მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ის გზები და ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც პერიოდულად მოხდება მონიტორინგისა და შეფასების პროცესში უკუკავშირის მიღება სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	სასურველია, სკოლის სტრუქტურაში დაკორექტირდეს ადმინისტრაციის ნაწილი, რომელშიც ვერტიკალურად არის ჩამოწერილი ადმინისტრაციული პოზიციები და ჰორიზონტალურ დონეზე განსათავსებელი თანამდებობები ერთმანეთთან დაქვემდებარებულადაა წარმოჩენილი (მაგალითად, საქმისმწარმოებლის ქვეშ არის მნე, მნის ქვეშ - საინფორმაციო მენეჯერი და ა.შ.). ასევე, მრჩეველთა საბჭო არ იყოს სტრუქტურაში დაქვემდებარებული დირექტორზე.
ინდიკატორი N3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სასურველია, სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში თითოეული თანამშრომლის შემთხვევაში გაწეროს, რომელიმე პირის არყოფნის შემთხვევაში რომელ პოზიციაზე დასაქმებულს დაევალება მისი ფუნქცია-მოვალეობების შეთავსება.
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია, უზრუნველყოს კონკრეტული ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებითაც მოხდება თითეული თანამშრომლის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.
ინდიკატორი N3.2.1.2.	**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი ფორმა, პოზიციების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელშიც გაწერილი იქნება თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარების გეგმა, დადგენილი საჭიროებების შესაბამისად.
ინდიკატორი N3.4.1.8.	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	სასურველია, სკოლამ უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასებისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტებ (მაგალითად, შეფასების ჩეკლისტი, კითხვარები). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი, რომელშიც გარდა ზოგდი პრინციპებისა, გაწერილი იქნება კონკრეტული მეთოდები და ინსტრუმენტები რომლითაც სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, სახვითი ხელოვნების **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში** შენარჩუნებულ იქნას ერთნაირი ჩარჩო, მაგალითისთვის, მესამე კლასის ჩარჩოს ფორმა სავსებით მისაღებია და სწორედ ასეთი ტიპის ჩარჩოზე იყოს ორიენტაცია. *(ესთეტიკური აღზრდა)*
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მოსწავლეებისათვის გასაგები და მკაფიო, დავალების საკითხი და დავალების იდეა იყოს თანხვედრაში, სწორად ფორმულირებული; სტანდარტის შედეგი დამუშავდეს თემის ფარგლებში. მე-3, მე-4 კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სავალდებულო თემები სწორად განისაზღვროს. *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია ინგლისური ენის კურიკულებში, დაწყებით საფეხურზე VI კლასი სამიზნე ცნება ჟანრი ჩანაცვლდეს სამიზნე ცნება ტექსტით. სასურველია ინგლისური ენის, დაწყებით საფეხურზე IV კლასის კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იყოს ყველა სამიზნე ცნება. *(უცხოური ენები)*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, ყველა კლასისი კურიკულუმის შედგენისას შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მკაფიო, მოსწავლეებისათვის სწორად აღქმადი და გასაგები, ხოლო საკითხი სწორად ფორმულირებული, სტანდარტის შედეგი კი დამუშავდეს თემის ფარგლებში. *(სახელმწიფო ენა)*

ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში, კურიკულუმში დავალებების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. ***(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)***
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, ყველა კლასში, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით კურიკულუმში გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. ***(სახელმწიფო ენა)***
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, ყველა კლასში, ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. ***(მათემატიკა)***
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, რომ რესურსების ჩამონათვალი დაწყებით საფეხურის ყველა საგანში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები. ***(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)***
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, ყველა კლასის, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებული დავალებები დატვირთული იქნას

		მრავალფეროვანი აქტივობებით, ასევე დაიგეგმოს აქტივობები საგანთა შორის ინეგრირების გათვალისწინებით. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში, კურიკულუმშიც ჩანდეს, დანართშიც იყოს გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალების ადაპტირებული/დიფერენცირებული პირობა და შეფასების რუბრიკა. *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, კათედრაზე შეიმუშავდეს შემაჯამებლი დავალების ანალიზის ფორმა, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი მიზნები. დააკონკრეტეთ შეფასების რუბრიკა. შემუშავებული ფორმით იხელმძღვანელეთ ყველა საგანში. *(საზოგადოებრივი მეცნიერებები)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	შეფასების რუბრიკები, ყველა კლასის შემთხვევაში, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, რა ფასდება, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბდეს სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით. *(სახელმწიფო ენა)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრული თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში, შეფასების რუბრიკების შექმნისას მასწავლებლები დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის

		შედეგები. არსებული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმის სტანდარტის შედეგი დამუშავდეს თემის ფარგლებში (და არა სახელმძღვანელოს თავების მიხედვით); ასევე, რიგ შემთხვევებში, გაიმიჯნოს საკითხი, შემოქმედებითი დავალების იდეა და ტექსტი ერთმანეთისაგან. საკითხში უნდა იკვეთებოდეს რაზე მუშაობთ, შესაბამისად, გაიწერება რომელი კონკრეტული საკითხის შესწავლას ეძღვნება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალება; *(სახელმწიფო ენა)*
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში, შეიქმნას მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალება, რადგან ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა არის პროდუქტიული და ხელს უწყობს სამივე კატეგორიის ცოდნის ჩამოყალიბებას. *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში, ყველა შემოქმედბით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება. *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლამ შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გაწეროს მკაფიო ინსტრუმენტები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს სასწავლო წლის მანძილზე მუშაობის პროცესში.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია ყველა კლასში კურიკულუმის ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.3.2.3.	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაში დაამატოს და სასწავლო პროცესის შესაფასებლად შემდგომ გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

		გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, რათა შეძლოს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აკუმულირება.
ინდიკატორი N 2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და წყაროების გამრავალფეროვნებასთან ერთად გაითვალისწინოს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მისცემს (მაგალითად, სასწავლო გარემო და კლიმატი, ოჯახის როლი და ა.შ.).

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი, რომელშიც გარდა ზოგდი პრინციპებისა, გაწერილი იქნება კონკრეტული მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, ინგლისური ენის, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სვეტისთვის "მაგალითი შედარებისთვის" განკუთვნილი შინაარსის ტექსტები. *(უცხოური ენები)*
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, **საბაზო საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმში** მოწესრიგდეს თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები ესგ-სთან კორელაციაში. *(ესთეტიკური აღზრდა)*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, კურიკულუმის შედგენისას შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მკაფიო, მოსწავლეებისათვის სწორად აღქმადი და გასაგები, ხოლო საკითხი სწორად ფორმულირებული, სტანდარტის შედეგი კი დამუშავდეს თემის ფარგლებში.

		(სახელმწიფო ენა)
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით კურიკულუმში გაიწეროს მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მაქსიმალური მიღწევა. *(სახელმწიფო ენა)*
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებული დავალებები დატვირთული იქნას მრავალფეროვანი აქტივობებით, ასევე დაიგეგმოს აქტივობები საგანთა შორის ინეგრირების გათვალისწინებით. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგანში ყველა კლასში, შეფასების რუბრიკებში უფრო მეტი სიზუსტით იყოს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა/აქტივობები სამიზნე ცნებასთან მიმართებით. *(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, კათედრაზე შემუშავდეს შემაჯამებლი დავალების ანალიზის ფორმა, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი მიზნები. დაკონკრეტდეს შეფასების რუბრიკა და შემუშავებული ფორმით მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ ყველა საგანში. *(საზოგადოებრივი მეცნიერებები)*

ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	შეფასების, ყველა კლასის შემთხვევაში, რუბრიკები, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, რას ფასდება, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბდეს სამიზნე ცნებასთან მიმართებით, მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით. *(სახელმწიფო ენა)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმის სტანდარტის შედეგი დამუშავდეს თემის ფარგლებში (და არა სახელმძღვანელოს თავების მიხედვით); ასევე, რიგ შემთხვევებში, გაიმიჯნოს საკითხი, შემოქმედებითი დავალების იდეა და ტექსტი ერთმანეთისაგან. საკითხში უნდა იკვეთებოდეს რაზე მუშაობთ, შესაბამისად, გაიწერება რომელი კონკრეტული საკითხის შესწავლას ეძღვნება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალება; *(სახელმწიფო ენა)*
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია, სკოლამ შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გაწეროს მკაფიო ინსტრუმენტები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს სასწავლო წლის მანძილზე მუშაობის პროცესში.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია, ყველა კლასში კურიკულუმის ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.3.2.3.	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაში დაამატოს და სასწავლო პროცესის შესაფასებლად შემდგომ გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, რათა შეძლოს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აკუმულირება.

ინდიკატორი N 2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და წყაროების გამრავალფეროვნებასთან ერთად გაითვალისწინოს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მისცემს (მაგალითად, სასწავლო გარემო და კლიმატი, ოჯახის როლი და ა.შ.).

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი, რომელშიც გარდა ზოგდი პრინციპებისა, გაწერილი იქნება კონკრეტული მეთოდები და ინსტრუმენტები რომლითაც სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საშუალო საფეხურის** პროექტული სწავლების კურიკულუმებში (მუსიკა და სახვითი ხელოვნება) კარგად არ არის გამოკვეთილი განხორციელებული პროექტის მიზნები და შედეგები. *(ესთეტიკური აღზრდა)*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, კურიკულუმის შედგენისას შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მკაფიო, მოსწავლეებისათვის სწორად აღქმადი და გასაგები, ხოლო საკითხი სწორად ფორმულირებული, სტანდარტის შედეგი კი დამუშავდეს თემის ფარგლებში. *(სახელმწიფო ენა)*
ინდიკატორი N 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ**	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით კურიკულუმში გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. *(სახელმწიფო ენა)*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებული დავალებები დატვირთული იქნას მრავალფეროვანი აქტივობებით, ასევე დაიგეგმოს აქტივობები საგანთა შორის ინეგრირების გათვალისწინებით. *(მათემატიკა)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგანში ყველა კლასში, შეფასების რუბრიკებში უფრო მეტი სიზუსტით იყოს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა/აქტივობები სამიზნე ცნებასთან მიმართებით. *(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, კათედრაზე შემუშავდეს შემაჯამებლი დავალების ანალიზის ფორმა, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი მიზნები. დაკონკრეტდება შეფასების რუბრიკა და შემუშავებული ფორმით სკოლა იხელმძღვანელებს ყველა საგანში. *(საზოგადოებრივი მეცნიერებები)*
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	შეფასების რუბრიკები, ყველა კლასის შემთხვევაში, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბდეს სამიზნე ცნებასთან მიმართებით, მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით. *(სახელმწიფო ენა)*

ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, ყველა კლასის შემთხვევაში, შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. ***(მათემატიკა)***
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმის სტანდარტის შედეგი დამუშავდეს თემის ფარგლებში (და არა სახელმძღვანელოს თავების მიხედვით); ასევე, რიგ შემთხვევებში, გაიმიჯნოს საკითხი, შემოქმედებითი დავალების იდეა და ტექსტი ერთმანეთისაგან. საკითხში უნდა იკვეთებოდეს რაზე მუშაობთ, შესაბამისად, გაიწერება რომელი კონკრეტული საკითხის შესწავლას ეძღვნება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალება; სასურველია, არჩევითი საგნის სწავლებისას უფრო ნათლად გამოიკვეთოს მიზანი, კონტექსტმაგალითი, რესურსი, სასურველია, თავად შექმნათ კურიკულუმის ჩარჩო, (მაგ: ქართულის კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსად. ტექსტი-კონტექსტმაგალითი-შემოქმედებითი დავალება-რესურსი) და იქ გაწეროს შერჩეული ტექსტები. ***(სახელმწიფო ენა)***
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია, სკოლამ შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გაწეროს მკაფიო ინსტრუმენტები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს სასწავლო წლის მანძილზე მუშაობის პროცესში.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია, ყველა კლასში კურიკულუმის ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. ***(მათემატიკა)***
ინდიკატორი N 2.3.2.3.	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაში დაამატოს და სასწავლო პროცესის შესაფასებლად შემდგომ გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, რათა შეძლოს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აკუმულირება.
ინდიკატორი N 2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და წყაროების გამრავალფეროვნებასთან ერთად გაითვალისწინოს ყველა ის

		მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მისცემს (მაგალითად, სასწავლო გარემო და კლიმატი, ოჯახის როლი და ა.შ.).

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ დადგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, კონკრეტული ვადების (არაუმეტეს 1 წლისა) მითითებით გაწერა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების უზრუნველყოფის საკითხი სამივე საფეხურზე ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებულ საგნებში, რომლებშიც რამდენიმე კლასში ასწავლან ისეთი პირები, რომელთაც არ აქვთ დაკმაყოფილებული აღნიშნული საგნის სწავლებისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი პროცესი პასუხობს აღნიშნულთან დაკავშირებით მოკვლევის ეტაპზე გამოვლენილ ხარვეზს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ეს საკითხი შეფასდეს **მეტწილად დაკმაყოფილებულად** როგორც მესამე, ასევე მეორე სტანდარტში (სამივე საფეხურის პროგრამაზე).

ამასთან, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა არაუმეტეს 2 წლის ვადით შემდეგ საკითხებზე:

1. შემოერთებული სკოლების შენობების ადაპტირება - საპირფარეშოების ადაპტირება და შენობაში შესასვლელი პანდუსის მოწყობა. ძირითად შენობაში საპირფარეშოს ადაპტირება.
2. შემოერთებული სკოლების შენობების ადაპტირება - საპირფარეშოების ადაპტირება და შენობაში შესასვლელი პანდუსის მოწყობა. ძირითად შენობაში საპირფარეშოს ადაპტირება.

შესაბამისობის გეგმაში გაწერილი პროცესი პასუხობს აღნიშნულთან დაკავშირებით მოკვლევის ეტაპზე გამოვლენილ ხარვეზებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ეს საკითხები შეფასდეს **ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად.**

სკოლას მიეცა რეკომენდაციები შესაბამისობის გეგმით გათვალიწინებული საკითხების შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, სკოლა არგუმენტირებული პოზიციით დაეთანხმა და გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტით მიწოდებული ყველა რჩევა და გამოხატა მათი გათვალისწინების მზაობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმაში. სკოლა თავის მისიასა და ხედვაში აქცენტს აკეთებს ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით უსაფრთხო, ინოვაციური, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის გზით, ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირებით, მრავალმხრივ განვითარებული, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე, კრეატიული და კრიტიკული აზროვნების უნარით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდაზე. ეს ყოველივე კი ზუსტად ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დაკვეთას.
   სკოლის ხედვაც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ეხმიანება - მასში აქვენტირებულია 2031 წლისთვის კურსდამთავრებულების წვლილი ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. **ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სკოლა საკუთარი ფილოსოფიით მთლიანად პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა. მისიასა და ხედვაში ხაზგასმულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მხარდაჭერა, ამისათვის, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინკლუზიური გარემოს შექმნას, ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში

დაგეგმილ აქტივობებს. მისიისა და ხედვის მიღწევის გზები მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი თავის გამორკვევაში, პიროვნულ ზრდასა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. სკოლის ფილოსოფიით განსაზღვრულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო, სადაც ზრუნავენ მათ სოციალურ, ემოციურ და პიროვნულ განვითარებაზე. **ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ შეიმუშავა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლამ სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრული ეტაპების გავლით შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და ამ პროცესში აქტიურად ჩართო სასკოლო საზოგადოება. კერძოდ, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის პროექტი განსახილველად წარედგინა სამეურვეო საბჭოს და შემდეგ პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად, რის შემდეგაც მოხდა საბოლოო სახით მიღებული ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება. აღნიშნული ეტაპების გავლით სკოლამ ნამდვილად უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობა. **ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ ფილოსოფიაზე მუშაობის პროცესშივე უზრუნველყო პროექტის გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. დამტკიცებული დოკუმენტის გაზიარებისათვის კი იყენებს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალებას/საშუალებებს: სკოლის ვებ-გვერდს, ელექტრონული ფოსტას, სოციალურ ქსელს, პირისპირ შეხვედრებს საჯარო განხილვის მიზნებისთვის, საინფორმაციო დაფას. სკოლის საზოგადოება იცნობს და იზიარებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საშუალებით ჩამოყალიბებულ ერთიან იდეას. **ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლამ უზრუნველყო მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობა როგორც სკოლაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების, ასევე ონლაინ სივრცეში (სკოლის სოციალურ გვერზე, ასევე ახლად შექმნილ სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge) გამოქვეყნების გზით, შესაბამისად, სკოლის ფილოსოფია ყველა დაინტერესებულ პირებისთვის იყოს ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანებით. აღნიშნული სახელწოდება ფიქსირდება სკოლის ბეჭედსა და სატიტულო ფურცელზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფილოსოფია;
2. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე, სტრატეგიული და შვიდწლიანი გეგმების შეთანხმებაზე (თავისი დანართებით);
3. დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცებაზე (დანართი მეთოდოლოგია)
4. დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
5. სკოლის კითხვარი ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე
6. სამუშაო ჯგუფის ოქმი სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) პროექტის შემუშავება;
7. სამეურვეო საბჭოს ოქმი „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) განხილვა/შეთანხმება“ (დანართი სკოლის ფილოსოფია)
8. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) დამტკიცება“ (დანართი სკოლის ფილოსოფია)

9. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის ფილოსოფია (ფოტო)
10. სოციალური გვერდზე განთავსებული სკოლის ფილოსოფია - ლინკი
https://www.facebook.com/profile.php?id=100022815233018
11. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ფილოსოფია skolebi.emis.ge - ლინკი https://skolebi-admin.emis.ge/schools/1473
12. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, ითვალისწინებს ჩართულობის პრინციპებსა და მოქმედებებს: თანამონაწილეობა - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. ეს პროცესი მოიცავდა დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმატში მუშაობას, რომელიც უზრუნველყოფდა საკითხების განხილვას სასკოლო

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან. პროექტების გაზიარება - პროცესის გამჭვირვალობის, საზოგადოების მოლოდინებისა და ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტების პროექტების გაზიარება და განხილვა. აღნიშნული პრინციპებისა და ეტაპების გათვალისწინება მეთოდოლოგიაში უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად ჩართვას სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: შვიდწლიან ციკლურობას - სტრატეგიული გეგმა არის გრძელვადიანი და გათვლილია შვიდი წლის ვადაზე. ყოველი სამი წლის შემდეგ ხდება მისი შეფასება და განახლება, რაც ხელს უწყობს გეგმის ადაპტაციასა და საჭირო ცვლილებებზე დროულ რეაგირებას. სტრატეგიული გეგმა სრულად ეფუძნება სკოლის მისიისა და ხედვის კომპონენტებს. მისი მიზნების ფორმულირებისას გათვალისწინებულია ფილოსოფიით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. თითოეულ მიზანს ახლავს შესაბამისი ამოცანები, რომლებიც საშუალებას იძლევა სამოქმედო გეგმისთვის განისაზღვროს საჭირო აქტივობები და ნაბიჯები. სკოლას შერჩეული აქვს შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- ➢სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ➢ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ➢ უსაფრთხო ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ➢ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ➢ არაფორმალური განათლების გაძლიერება

თითოეული მიზანი კი ჩაშლილია რელევანტურ ამოცანებად. გაწერილი ამოცანები კიდევ უფრო მეტად მკაფიოდ აჩენს იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმითაც სკოლა შეძლებს მისიისა და ხედვის რეალიზებას, სტრატეგიაში დეკლარირებული ღირებულებებით. **ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და ის ნამდვილად ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას, სტრატეგიული ამოცანების შესრულების გზით. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში და ბოლოს გაკეთებულ თვითშეფასებას - სკოლა აფასებს წინა წლის სამუშაოებს და მათი შესრულების ხარისხს. სკოლის მეთოდოლოგიითაც განსაზღვრულია, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა იყენებს SWOT ანალიზის მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა, ასევე ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემობების შესწავლა. სწორედ აღნიშნული პროცესის შედეგების გათვალისწინებით მუშავდება სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. სამოქმედო გეგმა ასახავს კონკრეტულ ქმედებებს (აქტივობებს), რომლებიც აუცილებელია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. თითოეული აქტივობა პასუხობს შუალედურ და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებით შესრულებას. ყველა აქტივობას აქვს ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში შეგროვდეს და გადამოწმდეს კონკრეტული მტკიცებულებები. ***თუმცა, სასურველია, სკოლამ ინდიკატორებში მტკიცებულებების ენის ნაცვლად, გამოიყენოს გაზომვადი შედეგების ფორმულირების ენა.***
სამოქმედო გეგმის თითოეულ აქტივობას აქვს განსაზღვრული შესრულების ვადები, რომლებიც არის რეალისტური და დასახულ მიზნებსა და რესურსებზე დაფუძნებული. ვადები განსაზღვრავს, რა პერიოდში უნდა დასრულდეს კონკრეტული აქტივობა და უზრუნველყოფს პროცესის დროულობას. სამოქმედო გეგმში განსაზღვრულია თითოეული აქტივობისთვის პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არიან პასუხისმგებელი ამ აქტივობების შესრულებაზე. ყველა აქტივობის შესასრულებლად მითითებულია შესაბამისი რესურსებიც. თუმცა

აღსანიშნავია, რომ სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ყველა მიზნის ყველა ამოცანაზე მუშაობა. მიზნებისა და ამოცანების სპეციფიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ შვიდწლიან ციკლში თითოეული საკითხი იყოს პრიორიტეტულად აქცენტირებული, თუმცა, ***სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მომდევნო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას პრიორიტეტული ამოცანების შერჩევა და შვიდწლიან ციკლზე მათი ისე გადანაწილება, რომ უფრო მეტად რეალისტური გახდეს მათი მაქსიმალური შედეგით შესრულება.*** **ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცებაზე
2.სამუშაო ჯგუფის ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის შემუშავებაზე
3. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე, სტრატეგიული და შვიდწლიანი გეგმების შეთანხმებაზე (თავისი დანართებით);
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი შინაგანაწესის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ადამიანური რესურსების მართვის და უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ (თავისი დანართებით);
5. ინტერვიუს შედეგები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია მონიტორინგის პროცესის მართვასა და იმ შედეგების ანალიზზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული გეგმების შესრულებით. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს, რომ ყველა პასუხისმგებელი პირი, რომელიც ჩართულია სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაში, ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს შესრულებულ სამუშაოებზე, რომელშიც ასახულია მის მიერ შესრულებული აქტივობები, მიღწეული შედეგები და შესაბამისი შეფასებები. ყოველ 3 წლის შემდეგ და 7 წლის ბოლოს (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში, რათა

მოხდეს მისი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი, რომელიც გამოიყენება თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანისა და აქტივობის შესრულების შეფასებისთვის. შედეგად, საბოლოოდ კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“ „ნაწილობრივ შესრულდა“ და „არ შესრულდა“. *სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება მონიტორინგის საგანი, ფორმა, მეთოდი, პერიოდი და ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ჯგუფს საშუალებას მისცემს კონკრეტული მექნიზმებით აწარმოოს პროცესი.* ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლა ინტერვიუებში განმარტავს, რომ ყოველწლიურად ან შესაბამის პერიოდებში მიიღებს უკუკავშირს ყველა დაინტერესებული მხარისგან. ეს უკუკავშირი საშუალებას აძლევს სკოლას, გაიგოს, თუ როგორ აღიქმება მისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უშუალოდ სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ. ამისათვის სკოლა გამოიყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა: გამოკითხვები, შეხვედრები და სხვა ფორმები. თუმცა უკუკავშირის მიღების ეს ფორმები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მეთოდოლოგიით. შესაბამისად, *სასურველია სკოლამ მეთოდოლოგიაშიც და მონიტორინგისა და შეფასების გეგმაშიც მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ის გზები და ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც პერიოდულად მოხდება მონიტორინგისა და შეფასების პროცესში უკუკავშირის მიღება სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან.* ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლაში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, მისი შედეგები ხელმისაწვდომია როგორც სკოლის წევრებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია განხორციელებული პროცესების შესახებ. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნებისთვის განსაზღვრულია სკოლის ვებ-გვერდი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც სკოლის საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, შემდეგ კი განთავსდება საჯაროდ, რათა სასკოლო საზოგადოებამ და საზოგადოების სხვა წევრებმა შეძლონ გაცნობა.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის მიერ განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საფუძველზე განხორციელდება სკოლაში განხორციელებული პროცესების ანალიზი. თუ გარკვეული მიზნები ვერ განხორციელდა ან სრულად არ შესრულდა, სკოლა განსაზღვრავს, თუ რა საჭიროებები არსებობს და რა ცვლილებები უნდა განახორციელოს. აღნიშნულზე დაყრდნობით, სკოლა შეძლებს შექმნას უფრო რეალისტური და მიზნობრივი გეგმები, რომლებიც უფრო ადეკვატურად და ეფექტურად უპასუხებს მომავალ გამოწვევებს. **ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ფორმა;
2. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი სამოქმედო გეგმის სემესტრული შედეგების შესახებ;
4. სკოლის ვებ-გვერდი;
5. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
6. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, რომლითაც მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები არ მოდის წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. სკოლას ჰყავს ადმინისტრატორი, რომელიც უზრუნველყოფს მიერთებული დაწყებითი სკოლების (ზანაქედის, სიმონეთის და დავითაძეების დაწყებითი სკოლები) ფუნქციონირებასა და განვითარებას. დეტალურადაა გაწერილი საშტატო ნუსხით განსაზღვრული პირების ფუნცია-მოვალეობები, რომლებიც ასევე შეტანილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობა, რომელიც ეფუძნება თანამშრომლების კვალიფიკაციას, პასუხისმგებლობას და სკოლის მიზნებს, უზრუნველყოფს სკოლის სწავლისა და განვითარების პროცესების ეფექტურობას. პერსონალსა და სტურქტურულ ერთეულებზე განაწილებული ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია და არ არის დუბლირებული. სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები თითოეული პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული ახორციელებს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებასთან. სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს სკოლის სტრუქტურაც, რომელზეც ჩანს სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ცალკეულ პოზიციებს შორის ურთიერთდაქვემდებარება. ***სასურველია, სკოლის სტრუქტურაში დაკორექტირდეს ადმინისტრაციის ნაწილი, რომელშიც ვერტიკალურად არის ჩამოწერილი ადმინისტრაციული პოზიციები და ჰორიზონტალურ დონეზე განსათავსებელი თანამდებობები ერთმანეთთან დაქვემდებარებულადაა წარმოჩენილი (მაგალითად, საქმისმწარმოებლის ქვეშ არის მნე, მნის ქვეშ - საინფორმაციო მენეჯერი და ა.შ.). ასევე, მრჩეველთა საბჭო არ იყოს სტრუქტურაში დაქვემდებარებული დირექტორზე.***
ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის სტუქტურა;
2. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი შინაგანაწესის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ (თავისი დანართებით);
3. დირექტორის ბრძანებითდა საქმებული პერსონალის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ;
4. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
5. ინტერვიუს შედეგები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის პერსონალის მართვის პროცედურები სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას, ასევე დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პირობებს. თითოეული თანამშრომელი დასაქმებულია

შრომითი ხელშეკრულებით, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო პირობებს, უფლებებსა და ვალდებულებებს. შრომითი ხელშეკრულებები სრულად ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს და უზრუნველყოფს თანამშრომლების უფლებების დაცვას, პერსონალის მართვის პროცედურები ემყარება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებას, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები შემუშავებულია კანონმდებლობის საფუძველზე. **ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლაში არსებულ საჭიროებებს და მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მიდგომებს. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს სხვადასხვა პასუხისმგებლოისა და უფლებების დელეგირებას თანამშრომლებისთვის, პრევენციული თუ ინტერვენციული მიზნებისთვის. აღნიშნულ მიდგომას იყენებს როგორც პერსონალის შერჩევის, ასევე მათი პროფესიული საჭიროებების დადგენისა და განვითარების პროცესში. დამატებითი კადრის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში, კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით უზრუნველყოფს შერჩევის პროცედურების წარმართვას. სამსახურში დროებით არმყოფი პირის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს უნაწილებს სხვა თანამშრომლებს, თუმცა აღნიშნული პროცედურა მხოლოდ მასწავლებლებისა და დირექტორის არყოფნის შემთხვევაშია დოკუმენტურად დეკლარირებული - სკოლას აქვს მასწავლებლის შეცვლა-გაცდენის აღრიცხვის სისტემა, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში კი მოადგილე ბრძანებით ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს დროებით. *სასურველია, სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში თითოეული თანამშრომლის შემთხვევაში გაწეროს, რომელიმე პირის არყოფნის შემთხვევაში რომელ პოზიციაზე დასაქმებულს დაევალება მისი ფუნქცია-მოვალეობების შეთავსება.* **3.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მკაფიო, გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურებით, რომელიც უზრუნველყოფს პოზიციისთვის საჭირო კადრების მოზიდვასა და დასაქმებას კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი დეტალურად აღწერს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის კონკურსის გზით შერჩევის პროცედურებს. კომისიური წესით აღნიშნული პროცესის წარმართვა უზრუნველყოფს ობიექტურობის დაცვას. ამასთან, გაწერილი პროცედურები თანხვედრაშია

საკანონმდებლო მოთხოვნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც (ვაკანსიის გამოცხადების ბრძანებები, შერჩევის ოქმები) დასტურდება აღნიშნული რეგულაციის აღსრულება. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით ასევე დაკონკრეტებულია, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირების შერჩევა სკოლაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის შესაბამისად. ხოლო სხვა თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/ სპეციალური მასწავლებლის/სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტისა) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. **ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის (პედაგოგის, ადმინისტრაციული პირის, სხვა თანამშრომლების) კვალიფიკაცია უმეტესწილად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა რამდენიმე მასწავლებლის შემთხვევაში დაფიქსირდა შეუსაბამობა. კერძოდ: საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტის ერთი პედაგოგის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ასევე, დაწყებით საფეხურზე 3 პედაგოგი ასწავლის ფიზიკურ აღზრდას, მუსიკას, სახით და გამოყენებით ხელოვნებას, აღნიშნულ საგნებში კომპეტენციის დადასტურების გარეშე. ***სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნულ საათებზე კვალიფიციური კადრის დასაქმება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.*** **ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპი, რომელიც ეფუძნება ღია და თანამშრომლობით ურთიერთობებს. თითოეული თანამშრომელი, მიუხედავად მისი პოზიციისა და ფუნქციისა, აქტიურად მონაწილეობს

ორგანიზაციულ პროცესებში. თანამშრომლები ეხმარებიან ერთმანეთს სირთულეების დაძლევაში. თანამშრომლები ერთად მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად. სკოლის ღირებულებებში გაცხადებულია, რომ გუნდურობა სკოლისთვის პრიორიტულია. სასკოლო პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა დადასტურდა მათთან ინტერვიუებით. გამოიკვეთა თითოეულის გაცნობიერებული როლი ამა თუ იმ პროცესში. **ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში არსებობს მექანიზმები წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარებისათვის. პედაგოგიური საბჭოს, კათედრების სხდომებისა თუ სხვა სამუშაო შეხვედრების დროს, აქტიურად ხდება წარმატების აღიარება და პერსონალის პროფესიული მიღწევების აღნიშვნა. სკოლის სოციალურ გვერდზე ზიარდება თანამშრომლების მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტები, აქტივობები კიდევ უფრო დიდი აუდიტორიისთვის. **ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი - შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ (დანართებით)
2. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
3. შიდა და ღია კონკურსის მასალები;
4. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;
5. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროების კვლევა და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის საკითხს. შეფასება მოიცავს როგორც სწავლების პროცესის შეფასებას, ისე სხვადასხვა კომპონენტის ანალიზს. დოკუმენტის მიხედვით, შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება; კრიტიკული შემთხვევების შეფასება; გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება; სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ატარებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს; რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს; სასწავლო წლის განმავლობაში, დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით ესწრება გაკვეთილებს; მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად გაკვეთილზე დასწრებისას სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით, ფასდება საგაკვეთილო პროცესი. ამოწმებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავების უნარს და მის პროგრამას/კურიკულუმს; საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. იმისათვის, რომ აღნიშნულ პროცესს ჰქონდეს სისტემური პროცედურული სახე და სკოლამ გამოიყენოს ეფექტური მექნიზმები არა მარტო მასწავლებლის, არამედ სხვა პერსონალისთვისაც, ***სასურველია, უზრუნველყოს კონკრეტული ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებითაც მოხდება თითეული თანამშრომლის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.*** **ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა სამუშაოს ანალიზის საფუძველზე მათი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენის საკითხიც. ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მექნიზმები საშუალებას იძლევა, რომ სკოლამ განახორციელოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა, გამოწვევების იდენტიფიცირება და შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. თუ გამოვლინდა, რომ გარკვეული მიმართულებით თანამშრომელს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ან თავად დასაქმებული გამოთქვამს ამის სურვილს, სკოლა უზრუნველყოფს მას პროფესიული განვითარების შესაძლებლობით, როგორც სკოლის გარე სერვისით (ტრენინგები), ასევე სკოლის ბაზაზე. კერძოდ, თანამშრომლების მიერ გამოცდილების ურთიერთგაზიარებით, სამუშაო შეხვედრებით, კონსულტირებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტით და ა.შ. სკოლაში თანამშრომლებს აქვთ საშუალება, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება, სირთულეები და მიღწევები. ინტერვიუს დროს დადასტურდა პროფესიული განვითარების აქტივობების მიზნობრივად მიწოდება თანამშრომლებისთვის როგორც ტრენინგის, ასევე სკოლის ბაზაზე თანამშრომლობის ფორმატში. ***სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი ფორმა, პოზიციების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელშიც გაწერილი იქნება თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარების გეგმა, დადგენილი საჭიროებების შესაბამისად.*** **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის თანამშრომლები მუდმივად იღებენ შესაძლებლობას, რომ განავითარონ საკუთარი პროფესიული კომპეტენციები, მიიღონ ტრენინგებში მონაწილეობა, ასევე ჩაერთონ განათლების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ პროექტებში. აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ სკოლის ადმინისტრაცია მუდამ აწვდის შესაბამის ინფორმაციას და წაახალისებს მათ ჩართულობას. სკოლა უზრუნველყოფს საჭირო ინსტრუმენტებისა და რესურსების მიწოდებას, რათა ყოველი თანამშრომლის კარიერული განვითარება და პროფესიული ზრდა იყოს ხელშეწყობილი. ამისათვის ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას - კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრების გამართვა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში მასწავლებელთა ჩართვა, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. **ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა წინასწარ განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ეტაპებსა და აქტივობებს. კერძოდ: 1.1. ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება; 1.2. ახალი თანამშრომლისათვის მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება; 1.3. თანამშრომლის ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ; 1.4. თანამშრომლისათვის სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა; 1.5. სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა; 1.6. თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში, საჭიროების შემთხვევაში Eflow-სა და Eschool-ის ბაზებში, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში პროფილების შექმნა. 2. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია ხდება შემდეგი აქტივობებით: ექსკურსია და/ან ასვლითი კორპორატიული ღონისძიება. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ადაპტაციის პროცესის ხელშემწყოფ პირთა ფუნქციებიც. ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა აღნიშნული პროცედურების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში. **ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, სკოლამ განსაზღვრა წახალისების სხვადასხვა ფორმა, სკოლის მიზანია, რომ თანამშრომლები მიიღონ აუცილებელი სტიმული და აღიარება თავიანთი პროფესიული და პიროვნული ზრდისათვის, რაც დადებითად აისახება როგორც მათ მოტივაციაზე, ისე სკოლის საერთო წარმატებაზეც. დირექცია მუდმივად მხარს უჭერს თანამშრომლების იდეებს, მათ შორის პროფესიული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, წაახალისებს მათ სხვადასხვა პროექტსა თუ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისაკენ. აღნიშნული მიმართულებით კონკრეტული შემთხვევების მაგალითები მოყვანილი იქნა სასკოლო საზოგადოების წევრთა მიერ. **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. სკოლის სოციალური გვერდის ლინკი
3. ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
4. დირექტორის ბრძანება მასწავლებელზე მადლობის გამოცხადების შესახებ;
5. მასწავლებლების პორტფოლიოები, პროფესიული განვითარების მტკიცებულებებით;
6. კათედრის ოქმები;
7. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეყრდნობა სკოლის მიერ დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და აქვს პროცესული მიდგომა - მიმართულია განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ, რაც საშუალებას აძლევს

სკოლას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება ყველა მოსწავლისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. განსაზღვრულია სკოლაში მიმდინარე პროცესის ხარისხის ციკლის შესაბამისად წარმართვა -სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის სკოლას ასევე შექმნილი აქვს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება. **ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლაში არსებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დოკუმენტი. აღნიშნული პროცესები მოიცავს როგორც სკოლის ყოველდღიურ საქმიანობებს, ასევე მისი სტრატეგიული განვითარების უზრუნველყოფას. მმართველობითი პროცესები მოიცავს სტრატეგიულ მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფას. სკოლაში არსებულ მმართველობით პროცესებს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. ძირითადი პროცესები უშუალოდ დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და უზრუნველყოფს მოსწავლეების განათლებისა და განვითარების პროცესს. დამხმარე პროცესებს შორის არის ადმინისტრაციული მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მუშაობის ყოველდღიურ მენეჯმენტს - საქმისწარმოება, ფინანსური მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მატერიალური და რესურსების მართვა. **ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას დირქეტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ კანონიერ წარმომადგენლებს, თანამშრომლებსa და მშობლებს, მიიღონ კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიები და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებება. თითოეულ მოსწავლეს, მის კანონიერ წარმომადგენელს და სკოლის თანამშრომლებს აქვთ უფლება იცოდნენ და გამოიყენონ სკოლის შიდა წესი, აგრეთვე ჰქონდეთ

ხელმისაწვდომობა ნებისმიერ საჭირო ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მათ უფლებებს. წესის მიხედვით, მოსწავლეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს მიეცემათ შესაძლებლობა, მოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტების, წესებისა ან ინფორმაციის გაცნობა, თუ მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები დაირღვა. მაგალითად, თუ მოსწავლე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის დაკმაყოფილებული კონკრეტული გადაწყვეტილებით, მათ შესაძლებლობა აქვთ, მიმართონ სკოლის სამეურვეო საბჭოს ან სხვა შესაბამის ორგანოს საჩივრით. თუ ამ საჩივრის შედეგი ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, მათ საშუალება აქვთ გააგრძელონ პროცედურა და მიმართონ შესაბამის ორგანოებს, როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სამინისტრო ან სასამართლო. გასაჩივრების მექანიზმების შესახებ სკოლას ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. **ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა სკოლაში მოიცავს როგორც შრომითი, ისე სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვას. მათ აქვთ უფლება იცნობდნენ სკოლის შინაგანაწესს და შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც მათ უფლებებს ეხება. თუ პერსონალთან ან მოსწავლეებთან მიმართებაში ირღვევა რომელიმე კანონიერი უფლება, თანამშრომლებსა და მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს შეუძლიათ მიმართონ დისციპლინურ კომიტეტს, სკოლის სამეურვეო საბჭოს ან სკოლის დირექტორს საჩივრით. თუ სკოლის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები არ იქნება დამაკმაყოფილებელი, მოსწავლეს, მის კანონიერი წარმომადგენელს ან პერსონალს უფლება აქვთ მიმართონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსცენტრი, განათლების სამინისტრო ან სასამართლო, რათა მათი უფლებები დაცული იყოს. ამ სისტემის საშუალებით სკოლა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ადამიანი, რომელიც ანაწილებს ან არის ჩართული სკოლაში, მიიღოს შესაბამისი დაცვის მექანიზმი და ყოველთვის ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მისი კანონიერი უფლებები დაცული იყოს. **ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შეასხებ;
2. დირექტორის ბრძანება მოსწავლის, პერსონალის, მშობილის/კანონიერი წარმოადგენლის უფლებების დაცვის შესახებ

3. დირექტორის ბრძანება ძირიდი და დამხმარე მმართველობითი პროცესების აღმწერი შესახებ
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
5. დირექტორის ბრძანება სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
6. ინტერვიუს შედეგები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც ასევე სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წევრები არიან, მუშაობენ კოორდინირებულად და ყოველწლიურად ახდენენ სამუშაო გეგმების განახლებას. ამ გეგმებზე დაყრდნობით, თითოეული ერთეული ადგენს საჭირო რესურსებს და მიმართავს სკოლის დირექციას, რომელიც ასახავს მათ საჭიროებებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან, შესაბამის პოლიტიკასთან, მის ცვლილებებსა და განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასავრცელებლად, სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფა. გარდა ამისა, სკოლას აქვს საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი სოციალური გვერდი, რომელიც დამატებით საინფორმაციო არხს წარმოადგენს. სკოლა სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების ფორმატითაც უზრუნველყოფს ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების პროცესს. **ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სკოლის კოლეგიალური ორგანოების ოქმები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა) ადასტურებს, რომ სასოკოლო საზოგადოების წევრები მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ნათელი წარმოდგენა სკოლის მართვაში მათი ჩართულობის პოზიტიურ შედეგებზე, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას და

საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. სკოლა აქტიურად ახორციელებს რესურსების მოძიების პოლიტიკას, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ გზით სკოლა მოიპოვებს რესურსებს და ცდილობს პედაგოგების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას სხვადასხვა ფონდებიდან. ერთ-ერთი ნათელი მაგალითი სკოლის აქტიური მონაწილეობისა განათლების სფეროში არის აჭარის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული „სასკოლო ბიბლიოთეკის განვითარების პროექტი". ამ პროექტში სკოლამ ორჯერ გაიმარჯვა და ორივე შემთხვევაში მოიპოვა დაფინანსება – ჯამში 3500 ლარის ოდენობით. აღნიშნული დაფინანსებით სკოლამ შეიძინა მხატვრული ლიტერატურა და დამატებით შეავსო სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდი. მიმდინარე სასწავლო წელს კიდევ ერთხელ მოიპოვა გამარჯვება და დაფინანსდა 3000 ლარის ოდენობით, მხატვრული ლიტერატურის შესაძენად. აჭარის განათლების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სასკოლო კლუბის განვითარების ხელშეწყობისთვის. წინა სასწავლო წელს ამ კონკურსში სამოქალაქო განათლების მასწავლებელის მიერ წარდგენილმა პროექტმა მოიპოვა გამარჯვება, რის შედეგადაც სკოლისთვის შეძენილი იქნა 2000 ლარის რესურსი, მათ შორის პროექტორი და საკანცელარიო ნივთები. მიმდინარე სასწავლო წელს კი, აღნიშნულ კონკურსში სკოლისგან ხუთი განაცხადია წარდგენილი. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობის დასტურია მათი მონაწილეობა სამეურვეო საბჭოს არჩევნებში, ასევე სხვადასხვა პროექტებში. **ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კოლეგიალური ორგანოების ოქმები;
2. სკოლის ვებგვერდი და სოციალური გვერდი;
3. სკოლის მიერ განხორციელებული საგრანტო და სხვა პროექტების მასალები;
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების დაცვის სისტემის მექანიზმებს და დაკავშირებულია როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირების ღონისძიებებთან. სკოლის ძირითადი შენობა უზრუნველყოფილია დაცვით, სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც განრიგის შესაბამისად მორიგეობენ. ასევე სკოლაში მოქმედებს მანდატურის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის სამი შენობის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია უცხო პირებისგან.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ძირითადი შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის საგანგებო სიტუაციას (მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმები, ტექნიკური გადახრები ან სხვა ფაქტორები). სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა მიერთებული სკოლებისათვის. მაგრამ დაწყებული გვაქვს ამ გეგმაზე მუშაობა და ***შესაბამისობის გეგმით აღნიშნულს უზრუნველყოფს არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.***

სკოლა, ჯერჯერობით, არ ფლობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობების (ძირითადი, ზანაქედი, სიმონეთი და დავითაძეები) ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, თუმცა მიმდინარეობს პროცედურები და ***შესაბამისობის გეგმით აღნიშნულის უზრუნველყოფა მოხდება არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.***

სკოლას არ აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასაბუთებულ დასკვნა, თუმცა სკოლა გაგზავნილი აქვს მიმართვა შესაბამის უწყებასთან - სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სპეციალისტთა კვალიფიციური ჯგუფი სკოლის შენობების სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სოფელ დავითაძეების ტერიტორიაზე არსებული სკოლის ეზოს ერთი მხრიდან აქვს ხევი, რომელიც არ არის იზოლირებული ღობით, შესაბამისად, არ არის დაცული უსაფრთხოება. ***სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული ტერიტორიის შემოღობვა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 15.08.2027 წლისა. ინდიკატორი 3.4.1.1 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.***

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. სკოლის ძირითად შენობაში განთავსებულია სპეციალურად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე (სამედიცინო კაბინეტი), რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყოთი და მექანიზმებით პირველადი დახმარების გასაწევად. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევას საჭიროების შემთხვევაში და მისი ხელმისაწვდომობა მუდმივად არის უზრუნველყოფილი. რაც შეეხება შემოერთებულ სკოლებს, აქვთ პირველადი სამედიცინო დახმარების ინვენტარი. **ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

   სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების მიხედვით. სასკოლო ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის მანდატურებისა და მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით. სკოლის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის წესრიგის დარღვევა და ინციდენტი მყისიერად აღირიცხება, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება სკოლის შიდა პროცედურების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს მუდმივი მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს როგორც შიდა წესების, ისე სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვას. **ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლა აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერაზე. სკოლა უზრუნველყოფს პრობლემების ადრეულ იდენტიფიცირებას და საჭიროებების შეფასებას, რათა დროული და ეფექტური ფსიქოლოგიური დახმარება მიეწოდოს ყველა მოსწავლეს მანდატურის სამსახურის და სხვა საჭირო რესურსების ეფექტური გამოყენებით. სადამრიგებლო კლასის შეხვედრებზე აქტიურად განიხილება საკითხები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და მათ ემოციურ უსაფრთხოებაზე. სკოლის ყველა თანამშრომელი, განსაკუთრებით კი მასწავლებლები, ინფორმირებულნი არიან ძალადობის ნიშნების ამოცნობაზე, მისი პრევენციისა და ძალადობის შემთხვევებზე სათანადო რეაგირების განხორციელების გზებზე. სკოლაში არსებობს შიდა დამტკიცებული ინსტრუქციები აღნიშნულთან დაკავშირებით და განსაზღვრულია რეფერირების პროცედურები ძალადობის ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში. **ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას გააჩნია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფყოფის მექანიზმები, რომელითაც რეგულირდება საჯარო სკოლის სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში. ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით ფოიეები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები იწმინდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების პირობებში. თვეში ერთხელ ტარდება გენერალური დასუფთავება, რომლის დროსაც გამოიყენება რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები. ხოლო სველი წერტილები, კვების ბლოკი და სამედიცინო კაბინეტი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებებით. უნიტაზების, ნიჟარებისა და სხვა სველი წერტილების დასუფთავება ხდება სველი წესით, სხვადასხვა სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით. სანიტარულ-ჰიგიენური ინვენტარი ინახება იზოლირებულად და სპეციალურად განკუთვნილ სათავსებში, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო პირებისთვის. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფის კოორდინატორს. **ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის იმ პირობების და მექანიზმების დაცვას, რაც სასკოლო საზოგადოებაში ყველა წევრის პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას განაპირობებს, ამასთან, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, რასაც სრულად ემორჩილება სკოლის ადმინისტრაცია. პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში სკოლა

ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტებით. **ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სხვა პერსონალის პერსონალური და სენსიტიური მონაცემების უსაფრთხოება. სკოლაში გამოყენებულია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც რეგულარულად განახლდება და რომლის მართვა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგი ხდება IT სპეციალისტის მიერ. ამასთან, სკოლის სერვერებისა და ინფორმაციის საცავი სისტემების დაცვა უზრუნველყოფილია შესაბამისი ანტივირუსული პროგრამებით, რომელთა მიზანია სკოლაში არსებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ნებისმიერი არასანქცირებული წვდომის პრევენცია. აღსანიშნავია, რომ სკოლის ქსელზე წვდომა და ინფორმაციის მართვა ხდება უსაფრთხო პაროლებით და მომხმარებლის ავტორიზაციის პროცესით, რომელიც აკონტროლებს თითოეულ მომხმარებელს და მის უფლებებს. სკოლის მონაცემები დაცულია როგორც ფიზიკური, ასევე ლოგიკური დაცვით, რაც გულისხმობს მონაცემთა შიფრაციას და სპეციალური დაცვის პროგრამების გამოყენებას. ამგვარად, სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციაზე წვდომის მხოლოდ ავტორიზებულ პირებს, რის შედეგადაც სენსიტიური მონაცემები დაცულია წვდომის, დამახინჯებისა და განადგურებისგან. **ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულებამ პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. ამ ეტაპზე სკოლა აღნიშნულისთვის იყენებს დაკვირვების, ინდივიდუალური გასაუბრებისა და ცალკეული შემთხვევების ანალიზის მეთოდს. ასევე, მრჩეველთა საბჭოს მუშაობას. ***სასურველია, სკოლამ უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასებისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები (მაგალითად, შეფასების ჩეკლისტი, კითხვარები).*** **ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
2. მრჩეველთა საბჭოს ოქმი სასკოლო დროს უსაფრთხოების დაცვაზე;
3. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
4. ძირითადი შენობის სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის ორგანოებთან;
5. წერილი საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან, რომელიც შეეხება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების საკითხებს;
6.წერილი სიმონეთის,დავითაძეების,ზანაქედის დაწყებითი სკოლების შენობის უსაფრთხოების შესახებ;
7. წერილი სახანძრო უსაფრთხოებაზე;
8. წერილი სიმონეთის,დავითაძეების,ზანაქედის დაწყებითი სკოლების სახნძრო უსაფრთხოების შესახებ
9. დირექტორის ბრძანება სამედიცინო წესის დამტკიცების შესახებ;
10. დირექტორის ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ'
11. დირექტორის ბრძანება ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
12. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სანიტარულ - ჰიგიენირი ნორმების დაცვა;
13.დირექტორის ბრძანება სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ.
14. ვიზუალური დათვალიერება;
15. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლაში სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლას აქვს რამდენიმე ინფრასტრუქტურული სივრცე. კერძოდ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი მახოში ერთი (ძირითადი) შენობა და ასევე, დავითაძეების, სიმონეთის, ზანაქედის შემოერთებული სკოლების სამი დამატებითი შენობა, რომლებშიც სკოლა ახორციელებს დაწყებითი საფეხურის პროგრამას, კლასკომპლექტების სახით.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი - საკლასო ოთახები, გათბობა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, დერეფნები, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო და სპორტული დარბაზები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში აქტიურად ჩართვა. ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. ძირითად შენობაშიარის თანამედროვე სტანდარტების საბიბლიოთეკო სივრცე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მრავალფეროვანი მხატვრული, სამეცნიერო მეთოდური ლიტერატურით. ასევე, მოქმედი კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: ლეპტოპები, პრინტერი, პროექტორი და ინტერნეტი (მიმდინარე წელს სკოლას განათლების სამინისტროსგან გადაეცა 43 ლეპტოპი, 4 პერსონალური კომპიუტერი, 5 პროექტორი, 6 მრავალფუნქციური პრინტერი). საკლასო ოთახები ოთხივე შენობაში აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებით. სკოლის ძირითად შენობაში არის რესურსოთახიც. სკოლა აკმაყოფილებს

კანონმდებლობით დადგენილ ჰიგიენური და სანიტარულ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა კომფორტსა და უსაფრთხოებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილება არსებული რესურსით შესაძლებელია ძირითად შენობაში ორი ცვლის პირობებში. **ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები, სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ოთხივე შენობას აქვს ღია ეზო, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია დამატებითი აქტივობებისთვის. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად აქვთ სააქტო და სპორტული დარბაზები, ხშირად აწყობენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენას, სპორტულ აქტივობებს და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებას. აამასთანავე, სკოლის მიერ არსებული მატერიალური რესურსები, როგორიცაა წიგნები, ლაბორატორიები, ტექნიკური ხელსაწყოები, კომპიუტერები და სხვა სასწავლო მასალები, ხელმისაწვდომია ყველასთვის, რათა ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლის სრულფასოვან განათლებას და განვითარებას. სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურისა და რესურსების მონიტორინგი, რათა განისაზღვროს მათი სრულყოფილი გამოყენება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება.**ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს საბიბლიოთეკო სივრცით სარგებლობას. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა ხელვაჩაურის რესურსცენტრის ორგანიზებით დაგეგმილი წიგნის კითხვის კლუბი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სივრცის ხელმისაწვდომობასა და სხვადასხვა სერვისს. რეგულარულად ტარდება წიგნის კითხვის კლუბისა თუ სხვადასხვა პროექტების აქტივობები. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად ივსება როგორც სკოლის ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსებით, ასევე სხვადასხვა პროექტიდან მოპოვებული სახსრებითა და მიღებული დაფინანსებით. სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებელობა აქვთ, გაიტანონ და სახლში გაეცნონ წიგნებს ან ადგილზე ისარგებლონ სამკითხველო სივრცით. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად მართავს პროცესებს. **ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად უწყობს ხელს სწავლის ინკლუზიურ გარემოს და ყველა მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირების სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მთავარი შენობა ნაწილობრივ ადაპტირებულია, სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსები, არ არის სკოლის მეორე სართულზე ასასვლელი და სპორტ დარბაზში ჩასასვლელი პანდუსები, თუმცა სპორტ დარბაზში და სააქტო დარბაზში განთავსებულია ადაპტირებული ლიფტი. სკოლა ცდილობს თითოეული სასკოლო სივრცე მოაწყოს ისე, რომ ყველა წევრს, როგორც მოსწავლეებს, ისე სკოლაში მომუშავე პერსონალს, ჰქონდეს მარტივი წვდომა და უსაფრთხო გარემო.
სკოლაში არის სპეციალურად აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც შესაბამისი რესურსებითაა შევსებული. ამ ოთახში, სკოლის სპეციალური მასწავლებელი მუშაობს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან, რაც უზრუნველყოფს მათი მაქსიმალურ მხარდაჭერასა და წარმატებას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სკოლის თანამედროვე სტანდარტის კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული და სააქტო დარბაზები – ყველა ეს სივრცე მოეწყო ისე, რომ მათში სწავლისა და სხვა აქტივობების განხორციელება ყველასთვის ხელმისაწვდომია. ადაპტირება არ აქვს შემოერთებული სკოლების შენობებს. არცერთ შენობაში არ არის განთავსებული ადაპტირებული საპირფარეშოები და შენობაში შესასვლელი პანდუსი. ***სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნულის მოგვარება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 15.08.2027 წლასა.*** **ინდიკატორი 3.5.1.4 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა მთლიანად ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და სოციალური უნარების განვითარებას. სკოლაში არსებული სხვადასხვა სივრცეები, როგორიებიცაა ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ფოიე, ეზო და ღია მოედანი, განკუთვნილია არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესებისთვის, არამედ სხვადასხვა კულტურული, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების გამართვისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
3. ბიბლიოთეკარის სამუშაო გეგმა ;
4. სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელების მასალები;
5. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლაში არის მოქმედი კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: ლეპტოპები, პრინტერი, პროექტორი და ინტერნეტი (მიმდინარე წელს სკოლას განათლების სამინისტროსგან გადაეცა 43 ლეპტოპი, 4 პერსონალური კომპიუტერი, 5 პროექტორი, 6 მრავალფუნქციური პრინტერი). სკოლაში არის ინტერნეტი. აღნიშნული ტექნიკური რესურსის გამოყენება ხდება როგორც საგანმანათლებლო, ასევე ადმინისტრაციული

მიზნებისთვის. სკოლა სამომავლოდ გეგმას სასკოლო კლუბის „ჩვენ და ციფრული ტექნოლიგიების“ ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებისათვის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ ისინი გახდნენ პასუხისმგებლიანი და აქტიური ციფრული მოქალაქეები, რომლებიც შეძლებენ საკუთარ განვითარებას და სხვების დაცვას ციფრულ სამყაროში.**ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც უფრო ციფრულად მომზადებულ გარემოს შექმნის და უზრუნველყოფს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მუშაობას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს კომპიუტერებისა და შესაბამისი ტექნოლოგიური მომსახურების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს, ამიტომ სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის მოსწავლეებს აქვთ შეთავაზებული კომპიუტერით სარგებლობის გრაფიკი. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, წინასწარი შეთანხმებით, უქმე დღეებშიც მივიდნენ სკოლაში და გამოიყენონ მისი რესურსები, დადგენილი წესის შესაბამისად. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ დამატებით გამოიყენონ ტექნიკური რესურსი პროექტებზე მუშაობისას. **ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. განაცხადი სასკოლო კლუბების განვითარება “ჩვენ და ციფრული სამყარო”;
2. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ციფრული განვითარების გეგმა;
3. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
4. ინტერვიუს შედეგები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას გააჩნია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დადგენილი წესი. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება აღნიშნული წესების დაცვით. სკოლის საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის. დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და ა.შ. **ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში გამოიყენება საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), რომელიც უზრუნველყოფს როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნული სისტემა ამარტივებს დოკუმენტების მართვას, მათ რეგისტრირებას და გადაცემას, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესების სისწრაფესა და გამჭვირვალობას. ამასთანავე, სკოლა აქტიურად იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა email.mes.gov.ge, Google პლატფორმები, Office 365 და სხვა ხელსაწყოები, რომლებსაც შეუძლია ხელი შეუწყონ თანამშრომელთა და მოსწავლეთა შორის ეფექტური კომუნიკაციის და ინფორმაციის გაცვლის პროცესებს. აღნიშნული პლატფორმები ხელს უწყობს როგორც ადმინისტრაციის, ასევე პედაგოგების და მოსწავლეების ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებასა და მუშაობის პროცესის გამარტივებაში. **ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას გააჩნია სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge), რაც საშუალებას აძლევს სკოლას ეფექტურად მართოს და მონიტორინგი გაუწიოს თავის სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებს. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციას მოსწავლეების რეგისტრაციაზე, განათლების მიღების

პროცესზე, საფეხურების დაძლევაზე, შეფასებების და სხვა მნიშვნელოვან მონაცემებზე. ეს პლატფორმა ხელს უწყობს მონაცემთა სწრაფ და ხელმისაწვდომად განთავსებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აუმჯობესებს მართვის ეფექტურობას და უზრუნველყოფს საჭიროებისამებრ ინფორმაციის მიღებას და გადაცემას. სკოლის ბარათში შეტანილია ყველა საჭირო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულებაში განსაზღვრულია მკაფიო წესები ანგარიშგებებისა და შემოსული კორესპონდენციის რეაგირების პროცესებისათვის, რომელიც ეფუძნება დადგენილ პერიოდებს და პროცედურებს. ამ წესების დაცვა უზრუნველყოფილია სპეციალურად განსაზღვრული მოქმედებებით, რომლებიც მიმართულია დროულად და ზუსტად რეაგირებაზე. მაგალითად, 10 დეკემბრის ანგარიშის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტების მოწოდება და მათი განხილვა ხდება განსაზღვრული ვადების მიხედვით. მსგავსი პროცედურები ხელს უწყობს როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის პროცესების გამართულობას და უზრუნველყოფს მოთხოვნილი ანგარიშების დროულ წარდგენას მარეგულირებელ ორგანოებთან. **ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების წესი;
2. დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშები;
3. წერილი სამეურვეო საბჭოს სხდომის მოწვევის სასწავლო და ფინანსური საქმიანობის ანგარიშის წარდგენის შესახებ;
4. დირექტორის ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ - 2024 წელი;
5. დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ - 2024 წელი
6. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორის 2024 წლის ანგარიშის და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
7. ერთიანი დოკუმენტბრუნვის სისტემის დათვალიერების შედეგები;
8. ESCHOOL-ის პროფილის დათვალიერების შედეგები;
9. ინტერვიუს შედეგები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახლად შექმნილი ოფიციალური ვებგვერდისა skolebi.emis.ge და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. ვებგვერდზე ამ ეტაპისათვის განთავსებულია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა ტიპის ინფორმაცია. ამასთან, სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა პლატფორმას, როგორებიცაა: სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა (email.mes.gov.ge) და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები, რათა უზრუნველყოს კომუნიკაცია მშობლებთან, მოსწავლეებსა და საზოგადოების სხვა წევრებთან. ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო დაფა და პირისპირ შეხვედრებიც. **ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საფუძვლიანად მოწმდება, რათა თავიდან იქნას აცილებული შეცდომები ან არასწორი ინტერპრეტაციები. სკოლა აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კონკრეტული, სარწმუნო და გამჭვირვალე, რათა მშობლებს, მოსწავლეებს და საზოგადოებას ჰქონდეთ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია. ამ პროცესში გამოიყენება ოფიციალური წყაროები, თანხმობის მიღება და ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების მუდმივი განახლება. **ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა აქტიურად აგროვებს, ანალიზებს და ფრთხილად ითვალისწინებს მოსწავლეთა, მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. მიღებულ უკუკავშირს სასწავლო პროცესში არსებულ საკითხებზე იყენებს როგორც შესაძლებლობას, რომ შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს. გარდა ამისა, უკუკავშირი გამოიყენება ახალ პროექტებში, ინიციატივებში და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასურველ სტრატეგიებსა და აქტივობებზე მუშაობის პროცესშიც. **ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ახალ შექმნილი და უკვე მოქმედი ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ვებ გვერდი გამოიყენება როგორც ძირითადი კომუნიკაციის პლატფორმა, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცედურები, ნორმატიული დოკუმენტები, სიახლეები და განახლებები სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე, ვებგვერდზე შესაძლებელია მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება საგანმანათლებლო პროცესის შესახებ, სხვადასხვა აქტივობების გამოქვეყნება. **ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა ტიპის ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებგვერდი;

2. სკოლის სოციალური გვერდი;
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსურად მდგრადია. აქვს როგორც საბიუჯეტო, ასევე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი. ამასთან, სკოლას აქვს გრანტების მოპოვების გამოცდილება, რასაც ადასტურებს მოსწავლეების მონაწილეობით მიღებული 8000 ლარიანი გრანტი და 2400 ლარიანი დაფინანსება აჭარის განათლების სამინისტროს სასკოლო კლუბების პროგრამაში. სკოლას აქვს ყოველწლიური ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და შესაბამისი შესყიდვების გეგმაც არსებობს. გარდა ამისა, დირექტორი შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად წარუდგენს ფინანსურ ანგარიშებს შესაბამის ორგანოებს. ამასთან, ყველა სასწავლო და საოპერაციო ხარჯი უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით და საჭიროების შემთხვევაში, საბიუჯეტო კორექტირებები ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესებით.აღსანიშნავია, რომ ფინანსური დაგეგმვა ეფუძნება სტრატეგიულ ხედვას და თანხვედრაშია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საჭიროებებთან. **ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ბიუჯეტს შეიმუშავებს შემოსავლებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.**ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორის ბრძანება კორექტირებული გეგმის დამტკიცებაზე;
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორის ანგარიში 2024 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის საქმიანობის და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
4. დირექტორის ბრძანება საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;
5. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ეფუძნება მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვის პრინციპს. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია საჩივრების განხილვის წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის მიერ საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებსა და პრინციპებს. სკოლას აქვს შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს მოსწავლეების ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით სკოლაში სწრაფი და ეფექტური რეაგირების მექანიზმებს და განსაზღვრავს სკოლაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საქართველოს რეფერირების სისტემაში სკოლის მონაწილეობის წესს. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიებს ქმნის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც. **ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

   სკოლა შიდა რეგულაციებით იღებს ვალდებულებას მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: სკოლის მთავარი პრინციპები, ფილოსოფია, სკოლის შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები, სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, უსაფრთხოების წესები, სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები და ა.შ.
   სკოლის უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას შინაგანაწესის, მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოების წესების, საჩივრის წარდგენის წესის შესახებ. სკოლაში პერიოდულად იმართება შეხვედრები ზემოთ

აღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის მიზნით. სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის, სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. კლასის ფსიქოლოგები მოსწავლეებს მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზეც. **ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად გაწერილია ორივე მხარის უფლება მოვალეობები. სკოლაში ინფორმაცია საჯაროა.**ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. შინაგანაწესის გაცნობის აქტი;
3. სკოლაში გამოკრული შინაგანაწესი;
4. მოსწავლისა და მისი კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. სკოლის ვებგვერდი;
6. მშობელთა კრების ოქმი;
7. ინტერვიუს შედეგები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომლის პროცედურები მკაფიოდ განსაზღვრულია და სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, მათ შორის დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში, ხორციელდება არსებული თავისუფალი ადგილების მიხედვით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება სკოლის დირექტორის მიერ. პირველი კლასის მოსწავლეების რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს უფრო გამჭვირვალე და ეფექტურ პროცესს. რეგისტრაცია ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციებით და საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კერძო შემთხვევებში, როდესაც მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა ან სტატუსის შეჩერება საჭიროებს სპეციალურ პროცედურებს, სკოლა სრულად ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს" და სხვა შესაბამის კანონმდებლობას. სკოლის მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებულნი არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, დამრიგებლები მათ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურების შესახებ, როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებების დროს. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები მშობლებს ატყობინებენ გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს, მათ შორის სტატუსის შეჩერების შესაძლებლობას. მოსწავლეთა ჩარიცხვასთან/მიღებასთან/საფეხურის დაძლევასთან/მობილობასთან/სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების კანონმდებლობას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს“.

მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები სრულდება აღნიშნული კანონმდებლობისა და დადგენილი წესების მიხედვით. პირველი კლასის მოსწავლეთა რეგისტრაციის ვადები და ჩარიცხვის პროცესი ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე. ამის გარდა, მშობლები ინფორმირებას იღებენ სატელეფონო კომუნიკაციით, წერილობითი შეტყობინებებითა და პირადი შეხვედრებით. დამრიგებელი ზრუნავს გაცდენების აღრიცხვაზე და მათ შესახებ ინფორმაციას აწვდიან როგორც მშობელს, ასევე დირექციას. **4.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში მოქმედებს რამდენიმე კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს შიდა პოლიტიკას და მოსწავლეთა მოსალოდნელ ქცევას. ეს დოკუმენტები მოიცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, შინაგანაწესს, მასწავლებლის სტანდარტსა და ეთიკის კოდექსს, დირექტორის სტანდარტს და ეთიკის კოდექსს. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. მათ გაცნობაზე ზრუნავს სკოლა როგორც პირისპირ შეხვედრებზე მშობლებთან, ისე ონლაინ ფორმატში, მესენჯერ ჯგუფებში, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ სრულად გაცნობიეროს ინფორმაცია. **4.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისად გამჭვირვალე, განახლებული, არადისკრიმინაციული და პროაქტიული. აღნიშნული ინფორმაცია გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ზიარდება სკოლის სოციალურ ქსელით. სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ მოსწავლეს. თუ მოსწავლე დაინტერესებულია, მას აქვს შესაძლებლობა შეავსოს კლუბში გაწევრიანების განაცხადი და გადასცეს შესაბამისი კლუბის კურატორ მასწავლებელს, რათა დაიწყოს აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ამგვარად, სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ადეკვატურ გავრცელებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში და გამოიყენოს არსებული რესურსები. **4.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
2. პირველი კლასის მოსწავლეთა რეგისტრაციის ვადები და ჩარიცხვის პროცესის შესახებ ინფორმაციისგანთავსება სკოლის სოციალურ გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე;
3. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა მიმართავს მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოში. სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს ეძლევა შესაბამისი დახმარება სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. ამ პროცესში კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების და თავისებურებების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარმოაჩენს საუკეთესო მხრით. მოსწავლეები, თავის მხრივ, ცდილობენ გააცნონ საკუთარ თანაკლასელებს და სასკოლო სივრცეს. ამ მიზნით, კლასის დამრიგებელი გამოყოფს სპეციალურ დროს, რათა ახალი მოსწავლეები შეძლონ სასკოლო გარემოს გაცნობას. თანაკლასელები ახდენენ ახალი მოსწავლის გასაცნობას, ეცნობიან სკოლის წესებს, ტრადიციებს, უყვებიან საკუთარ თავზე. კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს აცნობს სკოლის შინაგანაწესს. **ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

პირველკლასელთა ტრანზიციის მიზნებისა და მათი სასკოლო გარემოსთან ადაპტაციისთვის, სკოლა აქტიურად აწყობს სწავლის დაწყებამდე ღია კარის ტიპის შეხვედრებს, მომავალი დამრიგებლები უზრუნველყოფენ მშობლებისგან მოსწავლის შესახებ იმ საჭირო ინფორმაციის მიღებას, პირადი შეხვედრებისას, რაც საჭიროა მოსწავლის წარმატებული ინტეგრაციისათვის. **4.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში დანერგილია რამდენიმე აქტივობა, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, მაგალითად: დიაგნოსტიკური წერები მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელშემწყობი აქტივობები მოიცავს სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებს, რომლებიც ინტერესების სფეროს მიხედვით ემსახურება მოსწავლეებს. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის როლს და საკლუბო მუშაობას. სასწავლო გეგმაში ასევე მოცემულია საშემოდგომო გამოცდებისა და ექსტერნატის გამოცდებისთვის მოსწავლეთა მომზადების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება. სასწავლო წლის ბოლოს, საშემოდგომო გამოცდების განსაზღვრის შემდეგ, კლასის დამრიგებელი მონაწილეობს თითოეული საგნის კონსულტაციების განრიგის შედგენაში. სკოლაში არსებობს პრაქტიკა (დაწყებით საფეხურზე), როდესაც მასწავლებლები ეხმარებიან იმ მოსწავლეებს, რომელთაც სწავლაში სირთულეები აქვთ, დამატებითი საათების ჩატარებით. ეს საათები მიზნად ისახავს კითხვის უნარის გაუმჯობესებას და სხვადასხვა სასწავლო გამოწვევის დასაძლევად მხარდაჭერას. **ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მიმართულია კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისკენ. სკოლის პოლიტიკა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას და მათ ინტერესებზე მორგებულ მხარდაჭერას. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას, სურვილის შემთხვევაში, განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობაზე. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას ნიშნის ამაღლების შესაძლებლობისა და პროცედურების შესახებ. საჭიროებისამებრ, მოსწავლეებს სთავაზობს რემედიაციის პროგრამას და ამ გზით ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლა მოსწავლესა და მის მშობელს ეხმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების რეალიზებაში. **ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში არაფორმალური განათლების გასავითარებლად ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა: კლუბების ჩამოყალიბება, სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობის მიღება, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები, სასწავლო ექსკურსიები და ლაშქრობები. აღნიშნული აქტივობები იგეგმება და ხორციელდება როგორც სკოლის დირექციისა და მასწავლებლების, ასევე მოსწავლეთა ინიციატივით. აქტიურად მუშაობს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, ტარდება სპორტული აქტივობები, ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „კიბერთაობა", თეატრალური დასი, მხატვრული კითხვისა და წიგნის კითხვის წრეები. ამ აქტივობებში მონაწილე მოსწავლეებს მრავალი წარმატება ჰქონდათ რესპუბლიკურ და რეგიონალურ დონეზე. მსგავსი პროექტებით სკოლას მიღებული აქვს არაერთი გრანტი. სკოლის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლეთა ინიციატივით, არაერთი საინტერესო პროექტი და აქტივობა განხორციელდა, რომლებიც მოიცავდა ფინანსურ განათლებას, შრომით უფლებებს, გარემოს დაცვას, კონფიდენციალურობის საკითხებს, სტერეოტიპების დაძლევასა თუ ქველმოქმედებას. მაგალითად, საქველმოქმედო ღონისძიება – "გადადე სიკეთე, როგორც ვირუსი" - სამოქალაქო განათლების კლუბის "კიბერთაობის" ინიციატივით, სკოლაში საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა. XI კლასის მოსწავლეებმა ნამცხვრები გამოაცხვეს და სკოლაში შესთავაზეს მასწავლებლებსა და თანატოლებს. გაყიდული ნამცხვრებით შეგროვებული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდა; გუნდური მუშაობის, სოციალური პასუხისმგებლობისა და თანაგრძნობის უნარები გაძლიერდა მოსწავლეებში. ასევე, კლუბის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილით მოსწავლეებმა შეიძინეს საჭირო პროდუქტები და მოინახულეს თემში მცხოვრები მარტოხელა ხანდაზმულები. სამოქალაქო განათლების კლუბის მოხალისეებმა 1-ლი და მე-4 კლასის მოსწავლეებისთვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე "სტერეოტიპები და მათი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე". ბავშვებმა შეისწავლეს, რატომ არის სტერეოტიპები საზიანო, ინკლუზიური თამაშების დახმარებით განივითარეს თანასწორობისა და ემპათიის შეგრძნება, მოხალისეებმა პერიფერიაში ზანაქედის სკოლაში ტრენინგი ჩაატარეს, "პროფესიებისა და სტერეოტიპების" აქტივობა – მოსწავლეებმა დახატეს პროფესიონალები (მზარეული, პოლიციელი, მეხანძრე) და გააცნობიერეს, რომ პროფესიას არ აქვს სქესი. სკოლას აქვს დამატებითი უამრავი აქტივობის განხორციელების მტკიცებულება.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ხშირად იღებენ უკუკავშირს მოსწავლეებისგან. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ჩართულ პირების ინტერესებს. აღნიშნული ინტერესების გამოკვეთა და მოსწავლეთა ინიციატივების მიღება ხდება მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე. უკუკავშირის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, რომლებიც მიმართულია პრობლემური საკითხების მოგვარებაზე და არსებული მექანიზმების გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები მოსწავლეებისგან იღებენ უკუკავშირს ცალკეული აქტივობების, გაკვეთილების ან მთლიანი სასწავლო პროცესის შესახებ. ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა აზრს და საჭიროების შემთხვევაში, შეაქვთ შესაბამის კორექტირება სასწავლო პროცესში, პროექტების ან აქტივობების მიმდინარეობაში.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სასკოლო აქტივობების შესახებ;
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო გეგმა;
5. მშობელთა კრების ოქმები;
6. ინტერვიუს შედეგები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე. დამრიგებლები ატარებენ კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად. ასევე, მიმდინარე სასწავლო წელს, სამოქალაქო განათლების მასწავლებლის

ხელმძღვანელობით განხორციელდა პროექტი „სწორად არჩეული პროფესია, წარმატებული მომავლის გარანტია“, რომელიც დაფინანსებულია აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ, როგორ აირჩიონ პროფესია სწორად, მოიპოვონ პრაქტიკული ცოდნა და მოტივაცია კარიერული გზისთვის.**ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა პერიოდულად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. **ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა აწყობს შეხვედრებს მოსწავლეებთან უკუკავშირის მიღების მიზნით და იწვევს კურსდამთავრებულებსაც, გამოცდილების გაზიარებისთვის. თითოეული აქტივობა, რომელიც პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ხორციელდება, ზეპირი კომუნიკაციის დროს შეფასებულია ჩართული მხარეების ერთობლივი მსჯელობით. ასევე პროცესზე დაკვირვებაც იძლევა საშუალებას, რომ შესაბამისი კორექტივები შეიტანონ დაგეგმვის ეტაპზე, საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი „სწორად არჩეული პროფესია,წარმატებული მომავლის გარანტიაა“ და გახორციელებული აქტივობების ანგარიში;
2. განხორციელებული აქტივობის ლინკები სკოლის სოციალური გვერდიდან;

3. მე-9 კლასის სადამრიგებლო გეგმა და ოქმი სხდომის ჩატარების შესახებ;
4. ინტერვიუს შედეგები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების პროცედურებს, მათთვის სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესებს, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდებს. მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლის საჭიროებებს და სასწავლო გარემოს ადაპტაციის დონეს, ხოლო სკოლის ვალდებულებაა უზრუნველყოს შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და სისტემატურად აცნობოს მშობლებს მოსწავლის მიღწევების შესახებ. დოკუმენტი ასევე სვამს კონფიდენციალობის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ მოსწავლის ინფორმაცია მხოლოდ უფლებამოსილ პირებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი. სკოლას დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განვითარების გეგმაც, რომელიც მოიცავს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სწავლის პროცესის ადაპტაციასა და საჭირო რესურსების უზრუნველყოფას.
   2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე, რომელთა შეფასება განხორციელდა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. თითოეული მათგანისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე სპეციალურმა მასწავლებელმა შეიმუშავა ინტერვენციის გეგმა, რომელიც მოიცავს მოსწავლის საჭიროებების შეფასებას, საჭირო სასწავლო სტრატეგიების არჩევას და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ძირითადი მექანიზმი არის სკოლისა და სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა. სკოლა და მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან თანაბრად ხელმისაწვდომ საგაკვეთილო პროცესს, სადაც თითოეული მოსწავლის საჭიროებები გათვალისწინებულია. სპეციალური მასწავლებელი და საგნის მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ და ერთად მუშაობენ მიზნების განსაზღვრასა და მათი მიღწევის გზების მოძიებაზე, ხოლო მათ აქვთ სპეციალურად განსაზღვრული შეხვედრების განრიგი, სადაც განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

შემუშავებას, პირველი სემესტრის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეჯამებას და მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას. სპეციალური მასწავლებელი ყოველ სემესტრის ბოლოს წარადგენს ანგარიშს. **ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული თითოეული მხარე თანაბარი პასუხისმგებლობით იღებს მონაწილეობას მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში და მის განვითარებაში. მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობლების აქტიური ჩართულობა, მათთან რეგულარულად ტარდება კონსულტაციები. სკოლას, საჭიროებიდან გამომდინარე, ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. სპეციალური მასწავლებელი ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლეები, ასევე სკოლაში განხორციელდა პროექტი „ჩვენ შევძლებთ“ – ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა. პროექტის მიზანი იყო სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობა და ტიპური განვითარების მოსწავლეებს შორის ინკლუზიის შესახებ ცნობიერების ამაღლება. აქტივობები: ფილმის „კლასის წინ“ ჩვენება – მოსწავლეებმა განიხილეს სსსმ მოსწავლეთა ყოველდღიური გამოწვევები და მათზე გადასაჭრელი გზები; სკოლის ეზოს გამწვანება – მოსწავლეებმა ერთად დაასუფთავეს სკოლის ეზო და დარგეს ყვავილები. შედეგი: პროექტში სსსმ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ, რამაც ხელი შეუწყო მათ სოციალურ ინტეგრაციას და თანატოლებთან. **ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციების დამტკიცების შესახებ;
2. ინკლუზიური განვითარების გეგმა;
3. სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა;
4. სპეცილური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა;
5. სპეციალური მასწავლებლის სემესტრული ანგარიში;
6. ისგ -ს სხდომის ოქმები;

7.სამეურვეოს საბჭოს სხდომის ოქმი 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით;
8.პედაგოგირი საბჭოს სხდომის ოქმი 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხი სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებით;
9. დირექტორის ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
10. სპეციალურად განსაზღვრული შეხვედრების განრიგი;
11. ინტერვიუს შედეგები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო სპეციალური პროგრამის ფარგლებში. **ინდიკატორი 4.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო სპეციალური პროგრამის ფარგლებში. **ინდიკატორი 4.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო სპეციალური პროგრამის ფარგლებში. **ინდიკატორი 4.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი მრავალფუნქციური და ინკლუზიურია, რაც უზრუნველყოფილია სკოლის საზოგადოების ყველა წევრის – მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის – პოზიციებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგები კათედრებზე მუშაობენ კურიკულუმის მოსამზადებლად. პროცესის საწყის ეტაპზე ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება როგორც ეროვნული მოთხოვნებს, ისე სკოლის საჭიროებებს. სწავლების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები – დაწყებით საფეხურზე უპირატესობა ენიჭება თამაშზე დაფუძნებულ სწავლას, ხოლო უფროს კლასებში – პრაქტიკულ დავალებებს. სასწავლო აქტივობები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც თეორიულ სწავლებას ასევე პრაქტიკულ დავალებებსაც. კურიკულუმი ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს. საგნობრივი კათედრები ამზადებენ შემაჯამებელ დავალებებს, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ საფეხურსა და მიზნებს. სკოლა ადგენს შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რომლებიც იყოფა განმსაზღვრელ და განმავითარებელ კატეგორიებად.

პედაგოგები, მშობლები და ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობენ, რათა კურიკულუმი იყოს მორგებული როგორც ინდივიდუალურ, ასევე საერთო სასკოლო საჭიროებებს. თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასკოლო პროცესში იქმნება გარემო, სადაც ყველა ბავშვი შეძლებს სასწავლო პროგრამის წარმატებით შესრულებას. მიმდინარე სასწავლო წელს, კათედრებზე შემუშავდა კურიკულუმის ახალი ჩარჩო და კომპლექსური დავალების მატრიცის ფორმები,

რომელთა შემდგომი განვითარება და დახვეწა მოხდება მიღებული შედეგების გაზიარებისა და განხილვის საფუძველზე. პედაგოგიური კოლექტივი მუდმივად თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან, რაც ხელს უწყობს პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრას.

მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო ცხოვრებაში ამ ეტაპზე მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებს, სკოლის მიზანია ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და სკოლის განვითარებაში მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობის მაქსიმალურად გაზრდა.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მისი შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგების, მშობლების და სკოლის ადმინისტრაციის შეხედულებებსა და საჭიროებებს. თითოეული ჯგუფის ჩართულობა კურიკულუმის შექმნაში მნიშვნელოვანია, რათა დოკუმენტი სრულად შეესაბამებოდეს საზოგადოების პრიორიტეტებს და ინტერესებს. კურიკულუმებში ხაზგასმულია მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესები, როგორიცაა ინფორმაციის გაზიარება მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, ასევე უკუკავშირის მიღების მექანიზმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება დავალებების შექმნისას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და ცოდნის ეფექტურ ათვისებას. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება ძლიერი მხარეების გაღრმავებისა და სუსტი მხარეების გაძლიერების მიზნით. სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობენ. რაც შეეხება მშობლებს, უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებითი საფეხურის მშობლები ხშირად გამოირჩევიან აქტიურობით და სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც სამწუხაროდ ზედა საფეხურებზე იმავე ინტენსივობით არა გვხვდება. მასწავლებლებსა და მშობლებს შორის იმართება შეხვედრები და კონსულტაციები სასკოლო საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობას კურიკულუმის შემუშავებაში, სკოლა გეგმავს ამ საკითხის მომავალი სასწავლო წლისთვის მოგვარებას.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი სადაც გარდა ზოგდი პრინციპებისა გაწერილი იქნება კონკრეტული მეთოდები და ინსტრუმენტები რომლითაც სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც დეტალურად აღწერს პროცესის ყველა ეტაპს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. ეს მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ ავტორიზაციის სტანდარტები იყოს დაცული და ამავდროულად, სკოლამ შეძლოს სასკოლო საზოგადოების ფართო ინტერესების გათვალისწინება. სამივე საფეხურის კურიკულუმი შემუშავდა კათედრის წევრებისა და ადმინისტრაციის აქტიური თანამშრომლობით. კათედრის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები, განსაზღვრეს რესურსების საჭიროებები და აქტიურად მუშაობდნენ კურიკულუმის შინაარსზე. მასწავლებლებმა შემუშავების პროცესში გაითვალისწინეს წინა წლებში მოსწავლეებთან და მშობლებთან მიღებული გამოცდილება, რაც დაეხმარა მათ უკეთ გაეთვალისწინებინათ თითოეული ჯგუფის შეხედულებები და საჭიროებები. შედეგად, კურიკულუმი შეესაბამება სკოლის საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს. სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების შემუშავებას, რათა უკეთ იქნას გათვალისწინებული მათი აზრები და მოთხოვნები.
შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ კურიკულუმები ასახავს თანამედროვე განათლების პრინციპებს, რომლებიც ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, გამჭვირვალობასა და მუდმივ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მახოს საჯარო სკოლას აქვს სისტემა კურიკულუმის ხელმისაწვდომობისა და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის. კურიკულუმის ფიზიკური განთავსება სკოლის სხვადასხვა სივრცეში, ისევე როგორც ონლაინ და პირისპირ კომუნიკაციის არხების გამოყენება, უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ადვილად მისაწვდომი იყოს ყველასთვის. მასწავლებლების მიერ კლასის საათებზე წლის გეგმების განმარტება და სამეურვეო საბჭოს/მშობელთა კრებებზე დეტალური განხილვა აჩვენებს, რომ სკოლა აქტიურად ცდილობს ინფორმაციის მიწოდებას. სოციალური გვერდების აქტიური გამოყენება ინფორმაციის გასაზიარებლად, ქმნის უფრო მეტ ერთიანობისა და ჩართულობის განცდას.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასკოლო საზოგადოება იყოს არა მხოლოდ ინფორმირებული, არამედ აქტიურად ჩართული კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. კათედრების დოკუმენტაცია კურიკულუმების შემუშავებაზე;
3. პედაგოგიური საბჭოს სხდომი ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე;
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებაზე;
5. პედაგოგებთან გასაუბრების მონაცემები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა კომპლექსური დავალებების შექმნისას ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას.

	ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები სამივე საფეხურზე ყველა საგანში შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. შემუშავების პროცესში აქტიურად ჰყავთ ჩართული სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ მოსწავლისა და მშობლის ბარათებს აზიარებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. წინა სასწავლო წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემების ფარგლებში გამოკვეთილია საკითხთა კლასტერები, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ძირითადად ორინტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესს შესასწავლი საკითხების მიმართ. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს შემოქმედებითი ბუნების აქტივობებს/დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს ფასილიტატორს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა უნარების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ, რაზედაც მეტყველებს ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურებზე. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია სახვითი ხელოვნების **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში** შენარჩუნებულ იქნას ერთნაირი ჩარჩო, მაგალითისთვის მესამე კლასის ჩარჩოს ფორმა სავსებით მისაღებია და სწორედ ასეთი

	ტიპის ჩარჩოზე იყოს ორიენტაცია. **საბაზო საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმში** მოწესრიგდეს თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები ესგ-სთან კორელაციაში.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე, ჩანს თემა, რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და მიემართება საგნის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემები, საკითხები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი პროდუქტები. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მახოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან, თუმცა ზოგიერთ საგანში გაიცა რჩევა იმასთან დაკავშირები რომ თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, დაემატოს კომპლექსური /შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა, დაიხვეწოს კურიკულუმების სტრუქტურა, უფრო მკაფიოდ, გასაგებად ჩამოყალიბდეს დავალებების პირობები, კურიკულუმებში შეტანილი სავალდებულო თემები გადაიხედოს და გასწორდეს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მოსწავლეებისათვის გასაგები და მკაფიო; დავალების საკითხი და დავალების იდეა იყოს თანხვედრაში, სწორად ფორმულირებული; სტანდარტის შედეგი დამუშავდეს თემის ფარგლებში.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, მოდელის დამზადება, ბუკლეტის შექმნა..), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგები საფეხურების მიხედვით შეიმუშავებენ საგნობრივი კურიკულუმებს. კურიკულუმებს თანდართული აქვს დანართები,სადაც ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნობრივი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, შედეგების ინდიკატორები, სასწავლო თემები და საკითხები, განხორციელების პროცესი, აქტივობები და შესაბამისი რესურსები. განხორციელების პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორცეიელება ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, მეტაკოგნიკური, პრობლემის გადაჭრის და სოციალური უნარების განვითარებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს როგორც საგნობრივი კომპეტენციების, ასევე გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. საბაზო და საშუალო საფეხურზე შექმნილი საგნობრივი კლუბები და იქ განხორციელებული აქტივობები კიდევ უფრო უადვილებს მასწავლებლებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მაგ. პროექტი „სიკეთე გადამდებია“, „პროფესიის არჩევა-წარმატებული მომავლის გარანტი“. წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა, სადაც ჩანს ყველა პედაგოგის დაგეგმილი აქტივობები. მოქალაქეობის პედაგოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლაში აქტიურად ხორციელდება აჭარის სამინისტროს და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებული პროექტები. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები უმეტესწილად ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. შემოქმედებითი ბუნების დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმში იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანზე ორიენტაცია, ფუნქციური უნარების განვითარება (შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება,კოლაბორაცია და ა.შ.), რაც კომპლექსურ დავალებებში მუშავდება, სწორედ მასზეა დაფუძნებული სასწავლო პროცესი ესთეტიკის კათედრის მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, **საშუალო საფეხურის** პროექტული სწავლების კურიკულუმებში (მუსიკა და სახვითი ხელოვნება) კარგად გამოკვეთოს განხორციელებული პროექტის მიზნები და შედეგები.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას.ინდიკატორი **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმის შედგენისას შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მკაფიო, მოსწავლეებისათვის სწორად აღქმადი და გასაგები, ხოლო საკითხი სწორად ფორმულირებული, სტანდარტის შედეგი კი დამუშავდეს თემის ფარგლებში.
მათემატიკა	სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად, მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, კურიკულუმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა, წარმოდგენილი მატერიალური და ელექტრონული რესურსი, კომპლექსური დავალების იდეები, მოსწავლეთა შესრულებული შუალედური და შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს.

	ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება. თუმცა, ზოგ შემთხვევაში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. (მაგ:ბუნებისმეტყველების მე-3, მე-4 კლასის კურიკულუმებში შეტანილი სავალდებულო თემებში) მიუხედავად ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში დავალებების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

აბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით, გააჩნიათ ქიმიური ცდების ჩასატარებელი ლაბორატორიული სინჯარები და რეაქტივები. რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები, რეკომენდაციები და უსაფრთხოების წესები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი, გრიფირებული სახელმძღვანელოები საგნების მიხედვით. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებში ნათლად ჩანს საკითხების შესაბამისი დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმში მითითებული აქვთ დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი საგნების მიხედვით.(რუკები, პლაკატები, დამხმარე ლიტერატურა,დოკუმენტური ფილმები) ასევე არსებობს სხვადასხვა პროექტში ჩართულობის დროს მიღებული რესურსების აქტიური გამოყენება საგნობრივი სტანდარტით დასახული მიზნის მისაღწევად. (ეროვნული ბანკის პროექტი :"ფინედუს რესურსები, ჯუნიორ ეჩვიმენტის საგანამანათლებლო რესურსები, usaid-ის დამხმარე სასწ.მასალები). სკოლაში არსებული მატერიალური ბაზა ხელს უწყობს ელექტრონული რესურსების აქტიურ გამოყენებას. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პედაგოგები იყენენ მრავალფეროვან რესურსებს, რითაც უადვილდებათ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის მიერ შეთავაზებული ძირითადი სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები) უმეტესწილად პირდაპირ უკავშირდება სწავლის განსაზღვრულ შედეგებს და ხელს უწყობს ენის ფუნდამენტური უნარების (კითხვა, წერა,

	მოსმენა, საუბარი) განვითარებას. მრავალი რესურსი შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებსა და აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მასწავლებლის სახელმძღვანელოების გამოყენება პედაგოგების მიერ, უზრუნველყოფს პედაგოგიურ მხარდაჭერას და ეხმარება მასწავლებლებს რესურსების ეფექტურად ინტეგრირებაში სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე, ციფრული რესურსების გამოყენება და მათი ინტეგრაცია. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი (მათ შორის გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად დამატებითი, განათლების სამინისტროს მოწოდებული რესურსები და ინტერნეტ რესურსები),რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და კომპლექსურ დავალებებში უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით კურიკულუმში გაიწეროს მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მაქსიმალური მიღწევა.
მათემატიკა	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსების ტიპი, რაოდენობა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. რესურსები წარმოდგენილია კურიკულუმის მიხედვით. სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვეთილები, ელექტრონული რესურსები. (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტები- კურიკულუმები, დანართები) **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, რომ რესურსების ჩამონათვალი დაწყებით საფეხურზე კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზანი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გამოიყენონ ეს მიდგომები სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, სწავლის სტილით , ინტერესით. მაგალითად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით (საპრეზენტაციო ფურცელზე, ელექტრონული ფორმით). **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებით ნათელი ხდება, რომ მასწავლებელები სწავლების პროცესში ითვალისიწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტერესს და უნარებს. შემოქმედებითი ტიპის დავალება მოსწავლეს შეუძლია წარმოადგინოს მისთვის სასურველ ფორმატში. საზოგადოებრივ მეცნიერებებში საბაზო (მე-9 კლასი), საშუალო საფეხურზე (მე-11 კლასი) საგნებში: ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდგეგმები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლისათვის მომზადებული ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ასევე ძალიან საინტერესო იყო მოქალაქეობის პროექტული სწავლებაში (მე-11 კლ.)მოდიფიცირებული დავალება შეფასების რუბრიკით. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისიწინებით შექმნილია სკოლაში საგნობრივი კლუბები. მოქალაქეობის კლუბი „ კიბერთაობა“,წარმოდგენილია კლუბის წესდება, გაწეული მუშაობის ანგარიში, განხორციელებული აქტივობები, მცირე საგრანტო პროექტები რეფლექსიებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სასწავლო ტემპს. მრავალი რესურსი მოიცავს დამატებით სავარჯიშოებს, გაფართოებულ აქტივობებს, რაც პედაგოგს

	საშუალებას აძლევს, ეფექტურად იმუშაოს როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების, ისე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. ეს ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას და უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწეული იყოს მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფში. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოყენებულია უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა, ასევე გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი თავისებურებები და არჩეულია ნაცნობი კონტექსტების შემცველი თემები. ითოეული მოსწავლე აღქმულია, როგორც ინდივიდი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით.ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს,რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე,ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს მოდიფიცირებული აქტივობები შეთავაზებული მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებული დავალებები დატვირთული იქნას მრავალფეროვანი აქტივობებით, ასევე დაიგეგმოს აქტივობები საგანთა შორის ინტეგრირების გათვალისწინებით.
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის

	სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	,,კომპიუტერული ტექნოლოგიების" კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები. პედაგოგები იყენებენ ინდ. გეგმებს და სათანადო რესურსს მათთამ მუშაობისას, მსჯელობენ შედეგებზე. (წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იდო პირველი და მეორე კლასის ინდ.გეგმები). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლას აქვს გამოცდილება. სკოლაში სამუშაო იგეგმება თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს, შესაბამის რესურსსა და თემებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს. (თუმცა, ამისი ფიზიკური მტკიცებულება არ გვინახავს) **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმშიც ჩანდეს, დანართშიც იყოს გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალების ადაპტირებული/ დიფერენცირებული პირობა და შეფასების რუბრიკა.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, პრინციპებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად იყენებენ ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ჩანს, რომ შეფასება ეფუძნება საგნის სტანდარტით განსაზღვრულ მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების რუბრიკებში უფრო მეტი სიზუსტით იყოს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა/აქტივობები სამიზნე ცნებასთან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვთ მოსწავლეთა შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები არის ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით შემუშავებული და კონკრეტულ შემოქმედებით დავალებაზე მორგებული. რუბრიკებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები. კრიტერიუმებთან მიმართებით დაკონკრეტებულია მოლოდინები, რაც უადვილებს პედაგოგებს კონკრეტული განმავითარებელი შეფასების დაწერას. მტკიცებულად წარმოდგენილია სამივე საფეხურზე მოსწავლის შემოქმედებითი დავალებები და კრიტერიუმების შესაბამისად მასწავლებლის შეფასება. ასევე წარმოდგენილი აქვთ ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას. მოქალაქეობის მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს პროექტულ სწავლებაში პროექტის შეფასების რუბრიკები და პროექტის განხორციელების რეფლექსია. ასევე არის მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, რითაც მოსწავლეები აფასებენ საკუთარ წვლილს პროექტის განხორციელების პროცესში. რითაც შეგვიძლია

	ვიფიქროთ რომ მასწავლებელი ხელს უწყობს მეტაკოგნიკური უნარების განვითარებას. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების პირობა და ანალიზის ფორმა, შემოქმედებითი დავალების პროდუქტების შეფასების რუბრიკები. პედაგოგებს კათედრის ოქმზე თანდართული აქვთ გაკვეთილებზე დასწრების და ურთიერთშეფასების ფორმები. პედაგოგებს შექმნილი აქვთ სსსმ მოსწავლისათვის მოდიფიცირებული დავალება და შესაბამისი შეფასების რუბრიკა, ახდენენ მოსწავლის შეფასებას ინდგემით გათვალისიწინებული მიზნებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, კათედრაზე შეიმუშავდეს შემაჯამებლი დავალების ანალიზის ფორმა, სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი მიზნები, დაკონკრეტდება შეფასების რუბრიკა და შემუშავებული ფორმით იხელმძღვანელებს სკოლა ყველა საგანში.
უცხოური ენები	კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა, შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. ხაზგასმულია უკუკავშირის მნიშვნელობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესს და შეცდომებზე მუშაობას. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები, მათ შორის ზეპირი და წერითი კომპონენტები, პროექტული დავალებები და აქტივობები, რაც ხელს უწყობს ენის ოთხივე უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) შეფასებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილადაა მოაზრებული, რომლის მეშვეობით მოსწავლესთან ეფექტური უკუკავშირი მყარდება. ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასებაც.განმავითარებელი შეფასებისას ეყრდნობიან საკმაოდ კონსტრუქტიულ პრინციპებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები,მიზნები და ამოცანები. შეფასების სისტემა მასწავლებლებს ეხმარება

	გაანალიზონ,კრიტერიუმთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართავენ დიაგნოსტიკას, .ინდიკატორი **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** შეფასების რუბრიკები,სასურველია,მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე,რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, რა ფასდება, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით.
მათემატიკა	დაწყებით, საბაზო და საშუალოსაფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ანალიზები, კომპლექსური დავალებებისა და შემოქმედებითი დავალებების განმავითარებელი რუბრიკები. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე.
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ

	შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გადმოგზავნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი, არის შეფასების ზოგადი პრინციპებით გაწერილი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის. დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებშიც მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების მიხედვით შექმნილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების ნიმუშები შესაბამისი კრიტერიუმებით შეფასებული. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას მასწავლებლები დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები.*
- *კათედრის გეგმა/ოქმები.*

- *შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი).*
- *ისგ გეგმები/მოსწავლის ნაშრომები, დიაგნოსტიკური წერები, შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ

	ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში სამივე საფეხურზე კლასების და საგნების მიხედვით წარმოდგენილ კურიკულუმებში დაკონკრეტებულია სასწავლო თემები, გამოკვეთილია საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, დამხმარე სასწავლო რესურსები, კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმების დანართებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელება. ასწავლებლები იყენებენ ინტეგრირებული სწავლებას, ცდილობენ დეკლარატიულ ცოდნასათან ერთად მოსწავლეებსი გააქტიურონ პროცედურული და პირობისეული ცოდნა, ასევე ფუნქციური უნარები. სასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს და აქტივობებს : „ჩვენ და ციფრული სამყარო“. საქველმოქმედო საღამო „ გადადე სიკეთე როგორც ვირუსი“, “ გლობალური ფულის კვირეული”, (საშუალო საფეხურზე), საბაზო საფეხურზე ინტეგრირებული პროექტი “დედამიწის დღე”(გეოგრაფია-მოქალაქეობა), პროექტი „ ქართველები უცხო მიწაზე“ (საშუალო საფეხური), „ჩემი დამოუკიდებელი საქართველო“ (საბაზო/საშუალო საფეხური), „შეიგრძენი ისტორია ხელებით“ . მოქალაქეობის პროექტული სწავლების დროს განახორციელეს პროექტები: “გატეხე ჩარჩო”, “ტრეფიკინგი”, “გახდი მოხალისე”, “ვირჩევ პროფესიას” **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს, სწავლის შედეგებსა და თემატიკას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხასიათდება ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მასალის თანდათანობით და კომპლექსურად ათვისებას. გათვალისწინებულია ცოდნის საფეხურებრივი აგება მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესს. დაგეგმვისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები,

	აუდიო/ვიდეო მასალები). მათი ინტეგრაცია ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მასალების სრულყოფილ გამოყენებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-სთან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებშიმეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი თემატურ ბლოკს,თემას,საკითხს ,სამოზნე ცნებას შორის,რასაც ადასტურებს ჩემს მიერ გაანალიზებული ესთეტიკის კათედრის ორი მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები.გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია და დამუშავებულია კონკრეტულ საკითხთან კონტექსტში. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად, დაგეგმილი,აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ,ასევე სავალდებულო თემებზე,ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები,სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები.(რამდენიმე შემთხვევაში თემის ნაცვლად გაწერილია სახელმძღვანელოს თავი) სკოლას აქვს ძალიან კარგი პრაქტიკა,სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის არჩევითი საგნებიდან ისწავლება XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა, მასწავლებლებს საკმაოდ საინტერესოდ და მრავალფეროვნად აქვთ წარმოდგენილი შესასწავლი ტექსტები,მინიშნებული აქვთ პარალელები ქართულ მწერლობასთან. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმის სტანდარტის შედეგი დამუშავდეს თემის ფარგლებში.(და არა სახელმძღვანელოს თავების მიხედვით); სამივე საფეხურის კურიკულუმში, რიგ შემთხვევებში, გამიჯნეთ საკითხი, შემოქმედებითი დავალების იდეა და ტექსტი ერთმანეთისაგან. საკითხში უნდა იკვეთებოდეს რაზე მუშაობთ, შესაბამისად, გაიწერება რომელი კონკრეტული საკითხის შესწავლას ეძღვნება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალება; სასურველია, არჩევითი საგნის სწავლებისას უფრო ნათლად რომ გამოიკვეთოს მიზანი, კონტექსტმაგალითი, რესურსი, სასურველია, თავად შექმნათ კურიკულუმის ჩარჩო, (მაგ:ქართულის

	კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსად. ტექსტი-კონტექსტმაგალითი-შემოქმედებითი დავალება-რესურსი) და იქ გაწეროთ შერჩეული ტექსტები
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა მოთხოვნას: მოცემულია სამიზნე ცნებები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირით, გაწერილია თემები, რომლებიც მუშავდება სამიზნე ცნებებით, წარმოდგენილი საკითხები, საკითხების ქვესაკითხები იერარქიულ კავშირშია ერთმანეთთან. წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, დავალების იდეა, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა-შემუშავება ხდება თანამშრომლობით გარემოში, ასევე გამოთქვეს მზაობა მომავალშიც აქტიური თანამშრომლობის. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი ფარავს დაწყებითი კლასების საგნების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, ზემოთ ჩამოთვლილ საგნებში შეიქმნას მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალება, რადგან ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა არის პროდუქტიული და ხელს უწყობს სამივე კატეგორიის ცოდნის ჩამოყალიბებას.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

მახოს საჯარო სკოლა აქტიურად ავლენს გარე გამოწვევებზე სწრაფი და გონივრული რეაგირების უნარს და სწავლების პრაქტიკაში გაუმჯობესებისკენაა ორიენტირებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია სკოლის ჩართულობა ადგილობრივი მთავრობის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე, ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და კოლეგიალურ მხარდაჭერას.

სკოლა სრულად აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია მოქნილობა და სწრაფი რეაგირება მოსწავლეების ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე. სკოლა მუდმივად აადაპტირებს სასწავლო პროცესს, რათა მაქსიმალურად გაზარდოს სწავლების ეფექტი, ყველა მოსწავლეს მიაწოდოს საჭირო დახმარება. სასწავლო პროცესის ადაპტირება სკოლაში განიხილება როგორც უწყვეტი და დინამიური პროცესი, რომელიც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირების სწრაფად შესრულებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლების მიერ მეთოდების მორგებას, დამატებითი რესურსების გამოყენებას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცალკეულ მოსწავლეებთან მუშაობას. სკოლა ასევე დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციას. სასკოლო საქმიანობაში აქტიური ჩართულობით განსაკუთრებით გამოირჩევიან დაწყებითი საფეხურის მშობლები. აღსანიშნავია, რომ

სკოლა ცდილობს უზრუნველყოს ინკლუზიური სწავლება, რაც ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლეს მიეწოდება საჭირო მხარდაჭერა, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურზე შეფასება შეესაბამება ესგ-ს სტანდარტებს. რუბრიკებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები . კრიტერიუმებთან მიმართებით დაკონკრეტებულია მოლოდინები, რაც უადვილებს პედაგოგებს კონკრეტული განმავითარებელი შეფასების დაწერას. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ ჩანს მიმართება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ,გადანაწილებულია შეფასების კრიტერიუმები ქულებად. მტკიცებულად წარმოდგენილია სამივე საფეხურზე მოსწავლის შემოქმედებითი დავალებები და კრიტერიუმების შესაბამისად მასწავლებლის შეფასება. ასევე წარმოდგენილი აქვთ ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები. მოქალაქეობის მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს პროექტულ სწავლებაში პროექტის შეფასების რუბრიკები და პროექტის განხორციელების რეფლექსია. ასევე არის მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, რითაც მოსწავლეები აფასებენ საკუთარ წვლილს პროექტის განხორციელების პროცესში. რითაც შეგვიძლია ვიფიქროთ რომ მასწავლებელი ხელს უწყობს მეტაკოგნიკური უნარების განვითარებას. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების პირობა და ანალიზის ფორმა, შემოქმედებითი დავალების პროდუქტების შეფასების რუბრიკები. პედაგოგებს კათედრის ოქმზე თანდართული აქვთ გაკვეთილებზე დასწრების და ურთიერთშეფასების ფორმები. პედაგოგებს

	შექმნილი აქვთ სსსმ მოსწავლისათვის მოდიფიცირებული დავალება და შესაბამისი შეფასების რუბრიკა, ახდენენ მოსწავლის შეფასებას ინდგემით გათვალისიწინებული მიზნებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება არის ობიექტური, ვალიდური, გამჭირვალე,სანდო და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი, უმეტესწილად, უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების, ნიშნების დაანგარიშების წესისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. არის განსაზღვრული, თუ რა ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და შეფასების პროცესის გაგებას. შეფასების სისტემა ცდილობს დაიცვას სამართლიანობის პრინციპი სხვადასხვა ტიპის დავალებების შეთავაზებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში (მაგალითად, როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმატში). **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	*როგორც დოკუმენტიდან ჩანს დირექციის და პედაგოგთა ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაშიც მათ ეხმარება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია.* **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს,შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია,კირიტერიუმები ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება,ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით,მოსწავლეებმა წინასწარ იციან ,რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები.შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე,სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სამივე საფეხურზე სკოლაში შეფასების სისტემები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ვალიდურია, რადგან შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტებთან, სანდოა, რადგან კრიტერიუმებითა არის წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან მოსწავლეებისთვის წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკები, რომლითაც ფასდებიან. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები, წესისამებრ, აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით.

	ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია, ყველა შემოქმედებით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია შეფასების სისტემის სიზუსტის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის დაცვის პრინციპები.

ამ მექანიზმების არსებობა იძლევა გარანტიას, რომ მოსწავლეთა მიღწევების შეფასება მოხდება არა სუბიექტური მოსაზრებების, არამედ შეთანხმებულ, მკაფიო და სამართლიან საფუძველზე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების და თვითშეფასების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ვერიფიკაციის მექანიზმი ამოქმედებას გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან მას შემდეგ რა ახალი ჩარჩოს მიხედვით შემუშავებული კურიკულუმებით მუშაობა დაიწყება.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გაწეროს მკაფიო ინსტრუმენტები და პროცედურები რომლითაც იხელმძღვანელებს სასწავლო წლის მანძილზე მუშაობის პროცესში.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სისტემურ აღრიცხვასა და დაცვას, რაც მიუთითებს კარგად ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე. დაცულია როგორც სასწავლო პროცესის, ასევე მოსწავლეებისა და მასწავლებლების პერსონალური ინფორმაციის შენახვის ვადები და ფორმატი. პროცესი მოიცავს როგორც მოსწავლეთა შეფასების შედეგებს, ასევე შესაბამის შეფასების კრიტერიუმებს, რუბრიკებს, ანალიზებსა და სხვა დაკავშირებულ დოკუმენტაციას. შეფასების მონაცემების შენახვა ხდება უსაფრთხო სისტემების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მათი დაცულობას და ხელმისაწვდომობას.

მონაცემების ხანგრძლივი და დაცული შენახვა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, გადამოწმების შესაძლებლობას და მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის სტრუქტურირებულ აღრიცხვასა და დაცვას შესაბამისი ვადებითა და სიფრთხილის ზომებით.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმი;
2. ინდ გეგმები;
3. შეფასების რუბრიკები
4. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმი
6. კათედრის გეგმა/ოქმები.
7. შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი).
8. კომპლექსური დავალების ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში. სწავლა სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ მასალას, პლაკატებს, აუდიო და ციფრულ მასალებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს. შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები აქტიურად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, წყაროების ლინკებს, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმებს, რუკებსა და პლაკატებს, კონტესქტ მაგალითების ელექტრონულ ბაზას, ტელე-სკოლის გაკვეთილებს ფოტო-მასალებს, ბიბლიოთეკაში არსებულ ენციკლოპედიებსა და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს. პედაგოგები ასევე აქტიურად იყენებენ დამხმარე სასწავლო რესურსებს „ფინედუს“ პროექტით მიღებულ სასწავლო რესურსებს, ჯუნიორ-ეჩვიმენტის მასალებს, usaid სამოქალაქო განათლების პროგრამით მიღებულ დამხმარე სასწავლო მასალებს. დანართის სახით წარმოდგენილი აქვთ საგნების მიხედვით იმ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი რასაც საგნობრივ კურიკულუმების განხორციელების დროს აქტიურად იყენებენ. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი სასწავლო რესურსები, კერძოდ სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები, აქტიურად და სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ისინი წარმოადგენენ გაკვეთილების დაგეგმვისა და მიზნების მიღწევის მთავარ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრულობას. აუდიო და ვიდეო მასალების აქტიური ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე მასალის ვიზუალურ და სმენით აღქმას, რაც ამდიდრებს სასწავლო გარემოს და ზრდის მოსწავლეთა ინტერესს. მასწავლებლები, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ დამატებითი, დამხმარე რესურსების (მაგალითად, ონლაინ სავარჯიშოები, თამაშები, ადაპტირებული ტექსტები) მოძიებას და ინტეგრაციას, რაც მიუთითებს მათ პროფესიულ მიდგომაზე და მზაობაზე, გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი.

	ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე ძირითად რესურსად გამოყენებული გრიფირებული სახელმძღვანელო.პარალელურად იყენებენგანათლების სამინისტროს ელექტრონულ რესურსებს და მრავალფეროვან ინტერნეტ რესურსებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ტექნიკური აღჭურვილობა- კომპიუტერი, პროექტორი, დინამიკები. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში დაკონკრეტებულია სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები. ლინკების სახით არის ელექტრონული რესურსების ბმულები. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასში კურიკულუმის ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება და უზრუნველყოფა.
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის აქვთ, არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის

	განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში დაწყებითი კლასების კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმების ჩანაწერები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში კათედრა დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებს, რომ შერჩეული რესურსი შესაბამისი იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ კოგნიტურ შესაძლებლობებს, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას და საჭიროებას. ციფრული და აუდიო რესურსის შერჩევისას ამოწმებენ რამდენად საიმედო და სწორი ინფორმაციაა ასახული მათში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებულ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი. საგნობრივ კურიკულუმებში რესურსები საკითხების შესაბამისია. მასწავლებლებთან გასაუბრებით ცნობილი გახდა რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. არსებული რესურსებით იგეგმება და ხორციელდება სასწავლო პროცესი. რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და შესაძლებელია ამ რესურსების დახმარებით სასწავლო შედეგების მიღწევა.

	ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	მასწავლებლები იყენებენ აუდიო-ვიდეო მასალებს და სხვა დამხმარე საშუალებებს, რომლებიც ავსებს ძირითად სახელმძღვანელოებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლების მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები, როგორც წესი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, თემატიკასა და სწავლის შედეგებს. ეს უზრუნველყოფს, რომ დამატებითი მასალები არ იყოს მოწყვეტილი ძირითად სასწავლო პროცესს და ეხმარებოდეს მოსწავლეებს საჭირო კომპეტენციების გამომუშავებაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება,რომ გამოყენებული რესურსები განხილული, შეთანხმებული და დადასტურებულია კათედრის წევრების მიერ. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენებაგანხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა მუდმივად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდს რესურსების შესარჩევად. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისას და დამხმარე რესურსებით უზრუნველყოფს; **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში დაწყებითი კლასების კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმების ჩანაწერები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსები: ბიოლოგიის საგნისთვის - მულაჟები, ტაბულები, ფიზიკის საგნისთვის - ძირითადი ხელსაწყოები, ქიმიური ჭურჭელი. თუმცა, სკოლას არ აქვს ლაბორატორიებისთვის გამოყოფილი სივრცე, სადაც იქნება გამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მაგიდა, სველი წერტილი, რეაქტივები (საბაზო და საშუალო საფეხურისთვის). სკოლას ლაბორატორიის მოწყობა წარმოდგენილი აქვს **შესაბამისობის გეგმით, არაუგვიანეს 22.04.2026 წლისა.**

	ინდიკატორი 2.2.2.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საკითხის შესაბამისი მატერიალური რესურსები. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, სასკოლო სივრცეები, ბიბლიოთეკა, კლასები, კომპიუტერული ლაბორატორია აძლევს პედაგოგებს საშუალებას განახორციელონ მრავალფეროვანი აქტივობები, გამოიყენონ ციფრული რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრა ითვალისწინებს უცხოური ენებისთვის აუცილებელ ტექნიკური მხარდაჭერის აუცილებლობას და მიზნობრივად იყენებს მას, რაც აუცილებელია მოსმენის, მეტყველების, აუდიო-ვიდეო მასალებთან მუშაობისთვის, რაც მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა რომ,ესთეტიკური აღზრდის კათედრა აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობით,რომელიც სასწავლო პროცესს უფრო მრავალფეროვანსა და ნაყოფიერს ხდის როგორც მოსწავლეთათვის, ასევე პედაგოგთათვის. (ლეპტოპი, პროექტორი, დინამიკები და ა.შ). **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით და შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო სივრცეები მოწესრიგებული და სასკოლო აქტივობებით არის აღჭურვილი. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობით, კომპიუტერული ლაბორატორია რომელიც სასწავლო პროცესს უფრო მრავალფეროვანსა და ნაყოფიერს ხდის ინდივიდუალური კომპიუტერები ყველა მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში; როგორც მოსწავლეთათვის, ასევე პედაგოგთათვის.(ლეპტოპები პროექტორი, დინამიკები და ა.შ) **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან საგაკვეთილო პროცესისათვის საჭირო ტექნიკითა და საგნებით. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. (აღნიშნულია თვითშეფასებაში, დადასტურდა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს) სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების (პედაგოგის, ადმინისტრაციული პირის, სხვა თანამშრომლების) კვალიფიკაცია უმეტესწილად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა რამდენიმე მასწავლებლის შემთხვევაში დაფიქსირდა შეუსაბამობა. კერძოდ: საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტის ერთი პედაგოგის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ასევე, დაწყებით საფეხურზე 3 პედაგოგი

ასწავლის ფიზიკურ აღზრდას, მუსიკას, სახით და გამოყენებით ხელოვნებას, აღნიშნულ საგნებში კომპეტენციის დადასტურების გარეშე. ***სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს აღნიშნულ საათებზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისი პირის დასაქმება, არაუგვიანეს 15.08.2026 წლისა.*** **ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. კათედრის სამოქმედო გეგმა, ოქმები;
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
4. მოსწავლის შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების ნიმუშები;
5. ისგ-ს გეგმები/მოსწავლის შეფასება;
6. განხორციელებული პროექტების გეგმები, მასწავლებლის რეფლექსიები;
7. კლუბის განხორციელებული პროექტები.
8. სხვადასხვა საფეხურზე განხორციელებული აქტივობები, პროექტები, საინფორმაციო კამპანიების შესახებ ინფორმაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მოსწავლეები და სხვ.) აქტიური მონაწილეობით სტანდარტიზირებული კრიტერიუმების საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე, სკოლას არ წარმოუდგენია განხორციელებული კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დოკუმენტაცია. თუმცა ჩანს ამ მიმართულებით სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები: მაგალითად სკოლა ახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს, კათედრაზე პედაგოგთა ურთიერთდასწრებებს, შემაჯამებლების ანალიზი. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყველა ახალი სასწავლო წელი იგეგმება გასული სასწავლო წლის (დიაგნოსტიკური წერები, შემაჯამებლები, ნიშნები, პროექტები) ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული ქმედებები მიუთითებს სკოლის მხრიდან ხარისხის გაუმჯობესებისკენ სისტემურ მიდგომაზე.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არა მხოლოდ სწავლების პროცესის მიმდინარეობას, არამედ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებსაც განსაზღვრავს. თითოეული აქტივობა, როგორიცაა კათედრის სხდომები, მოსწავლეთა წერების დიაგნოსტირება, წარმოადგენს საშუალებას, რათა გაირკვეს თუ რა პრობლემები არსებობს სწავლების პროცესში და როგორ შეიძლება ამ პრობლემების გადაჭრა. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება საშუალებას იძლევა, რომ

ზუსტად გამოავლინონ ის ასპექტები, რომელთა გაუმჯობესებაც მნიშვნელოვანია, რათა სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური და მიზანდასახული იყოს. მაგალითად, კათედრის სხდომებზე განიხილება დიაგნოსტიკური წერების შედეგები. კათედრის წევრები ერთობლივად განიხილავენ მიღებულ შედეგებს, აიდენტიფიცირებენ პრობლემურ ასპექტებს და გეგმავენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მათ გამოსასწორებლად. ეს პროცესი ეხმარება როგორც მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებას, ისე სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციას. ამ პროცესების შედეგად, სკოლაში ხდება არამხოლოდ მიმდინარე აქტივობების შეფასება, არამედ მიდგომის გაუმჯობესების გზების მოძიებაც.

მიმდინარე და დაგეგმილი ნაბიჯები აჩვენებს სისტემურობასა და განვითარებაზე ორიენტირებულობას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ანალიზსა და განვითარებას, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებასაც. ამ პროცესების მეშვეობით, სკოლა გეგმავს და ახორციელებს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგებისთვის საჭირო რესურსების შეძენასა და სხვადასხვა ტიპის ხელშეწყობას, რათა წარმატებით მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა შემაჯამებლების ანალიზი, დიაგნოსტიკური წერები, ურთიერთ დასწრებები ქმნის ხელსაყრელ გარემოს, სადაც როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განიხილონ არსებული გამოწვევები და დაგეგმონ შესაბამისი ნაბიჯები არსენული პრობლემებისა თუ გამოწვევების აღმოსაფხვრელად. კათედრის სხდომებზე, სადაც პედაგოგები ერთმანეთს აზრებს, მეთოდებს და შეფასების მიდგომებს უზიარებენ, იქმნება ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს კოლეგების მხარდაჭერას და ეხმარება ერთმანეთს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია;

2. დაწყებითი საფეხურის კათედრის პირველი სხდომის ოქმები (თავისი დანართებით);
3. კათედრის სხდომის ოქმი პირველი სემესტრის შეჯამებაზე
4. მასწავლებელთა ყოველწლირი ანგარიშის ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა ეფუძნება შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებას. შეფასების არსებული პრაქტიკა პროგრესზეა ორიენტირებული. სასწავლო პროცსის შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც მასწავლებლებისგან, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ ინფორმაციას. დაგეგმილი გაუმჯობესებები მიანიშნებს პროცესის განვითარებად ხასიათზე.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალფეროვანი კონტექსტი ისეთი როგორიცაა: 1. სწავლების ფორმა, დავალებების ტიპები, 2. ცოდნა და უნარები რომელსაც მასწავლებლები და მოსწავლეები ფლობენ, 3. დრო და პროგრესი (მაგ: **ება** — სწავლების დასაწყისიდან ბოლოსკენ როგორ შეიცვალა შედეგებიმ **მომზადების პირობები** ან ერთი და იგივე მასალა როგორ დაიძლია ამა თუ იმ კლასში) 4. გარემო და ემოციური ფაქტორები(მაგ: მოსწავლეებში სტრესის დონე ან მოტივაცია. ასევე ოჯახური ან სოციალური მდგომარეობა).

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა წარმატებით იყენებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დივერსიფიცირებულ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესზე უფრო ღრმა, ინდივიდუალურ და პროცესზე ორიენტირებულ ხედვას. სკოლა იყენებს შეფასების ისეთ მეთოდებს როგორიცაა: მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა უკუკავშირი. თუმცა ამ მეთოდების გამოყენებას არ აქვს სისტემური სახე და სპონტანურია. **რჩევა**: სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაში დაამატოს და სასწავლო პროცესის შესაფასებლად შემდგომ გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, რათა შეძლოს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აკუმულირება.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

საგაკვეთილო დაკვირვებისას სკოლა იყენებს სპეციალურ ფორმას, რომელიც ითვალისწინებს პროცესის შეფასებას რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით : კლასის ორგანიზების ფორმები, მოსწავლეთა ჩართულობა, მასწავლებლის როლი, სასწავლო რესურსების მიზნობრიობა, შეფასება და ა.შ. ასევე, მოსწავლეთა შედეგების ანალიზით ხდება სტანდარტის შედეგების პროგრესის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და წყაროების გამრავალფეროვნებასთან ერთად გაითვალისწინოს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მისცემს (მაგალითად, სასწავლო გარემო და კლიმატი, ოჯახის როლი და ა.შ.).

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი;
2. შეფასების რუბრიკები დანართი

3. სსსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა
4. მშობლის კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგია ახალი დამტკიცებულია და პრაქტიკულად რევიზიის პროცესი ჯერ არ განხორციელებულა თუმცა სკოლის ადმინისტრაციასთან და პედგოგებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმის გადახედვა და რევიზიას. სკოლა წლის განმავლობაში აქტიურად

დააკვირდება კურიკულუმის დანერგვას, შეაგროვებენ მონაცემებს, რის შემდეგაც განხორციელდება ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მათი გაუმჯობესება ან ადაპტირება.

სკოლა მკაფიოდ გეგმავს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას კურიკულუმის განახლების პროცესში, რაც მიანიშნებს მტკიცე დემოკრატიულ მმართველობას, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებულობას და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესისკენ სვლას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავება სკოლის ახლად დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში დაეფუძნება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. პედაგოგები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დააკვირდებიან კურიკულუმის განხორციელების პროცესს, შეაგროვებენ მონაცემებს და განახორციელებენ ანალიზს. აღნიშნული პროცესის შედეგად, სკოლა მიიღებს საჭირო ინფორმაციას იმისთვის, რომ განისაზღვროს, რა მიმართულებებით უნდა გაკეთდეს ცვლილებები და რა ინოვაციები უნდა დაინერგოს. მიღებული შედეგები და გამოცდილება გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას.

თითოეულ საგნობრივ კათედრას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა აქტივობები: ურთიერთდასწრება, დიაგნოსტიკური წერები. კათედრის სხდომაზე განიხილება მონიტორინგისა და შეფასების მონაცემები, რათა შეიქმნას უფრო ეფექტური და სრულყოფილი სასწავლო გეგმა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ყოველთვის ენიჭება პედაგოგების გამოცდილებას, რაც საშუალებას იძლევა, რომ ყოველ მომდევნო კურიკულუმი იყოს კიდევ უფრო მოწინავე და უფრო ეფექტური.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დღის წესრიგი

თარიღი 09.09.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: